


„ხარს ვგეგვარ ნაიალილარს, რქით მიწასა ვჩხვერ ვებუბუნებ.  
ლმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუღუნებ.“ ვაჟა



# თავისუფლება



825 / 2  
1979

საქართველოს განთავისუფლებებისათვის მებრძოლთა ორბანო

გამოცემის პასუხისმგებელი : გიორგი წერეთელი.

## TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

№ 25. PARIS. Deuxieme trimestre 1979 მეორე მეოთხედი. პარიზი. № 25

გ ა მ ო ც ე მ ი ს მ ე ე ქ ვ ს ე წ ე ლ ი

*Djoradze's Library*

შ ი ნ ა ა რ ს ი

- .2 26 მაისი: საქ. თვითხელმწიფების ზეიმი
- .3 26 მაისი
- .5 საბჭ. კავშირის მაერთიანებელი ძალები: პოლიტიკური და სამხედრო ხელისუფლება
- .8 ადამიანი საბჭ. კავშირში
- .12 200 წლის ისტორია საქართველოს
- .13 სამშობლოს ქრონიკები
- .15 მანიფესტაცია პარიზში საბჭოთა საელჩოსთან ფოტო და კორესპონდენცია
- .15 ორი პარიზული მოვლენის შესახებ
- .17 ქართული ხელოვნების წარმატება
- .18 ღია წერილი ბ. გ. წერეთელს
- .19 ჩემი განმარტება ამ წერილზე
- .20 ჩვენ და ისრაელი
- .21 ს ა მ ა რ ა დ ი ს ო - ლექსი
- .21 შაგალის ალქიმი. კორესპონდენცია ისრაელიდან
- .22 ღღადი, ტრანსლიტერაცია და მრავლობითი რიცხვი
- .23 ღირსეული ქართველის ხსოვნას(დიმიტრი გუნიას ნეკროლოგი) იონა გუნია სამგლოვიარო განცხადებები და შემოწირულებანი.

მოწინავე  
ირაკლი მენტეშაშვილი

ელენ კარერ დ'ანკოს  
დავით ვაშაძე  
შალვა ზედგინიძე - ძველელი  
გრიგოლ წერეთელი

ეთერი წ - ს  
ზეინაბ ზურაბიშვილი  
პასკალ შენგელა  
ვიქტორ ხომერიკი  
გიორგი წერეთელი  
რედაქტორი  
როზა ანდერაშვილი  
დავით აჯერაშვილი  
გიორგი ჯაყელი

იონა გუნია

RESPONSABLE: GEORGES TSERETLI. 8, RUE DES MARCHAIS. 75019 PARIS. TEL. 607.08.14

Edition hors commerce



26 მაისობა : საქ - ოს თვითხელმწიფების

ჩვენ სამართლიანად გამაყობთ ქართველი ხალხის შორეული წარსული დიდებით, ის ერთი უძველესთაგანია ცივილიზებული კაცობრიობის ხალხთა შორის. მაგრამ რამდენი სხვა ხალხებიც ბრწყინავენენ წარსულში მსოფლიო არენაზე, რომელთა არსებობას, დღეს, მხოლოდ ნანგრევთა და ნამუსსაღალა დღეადი თუ მოგვაგონებს. მკვიდარ ცივილიზაციებად ქსულან. კავკასიონის მუდმივ თოვლიან-ყინულიან მთებზე, ჩვენი უმგებნაოული ამირანებით, ზურგმკერდობილი, ქართველი ხალხი დღესაც აწვდის თავის ქაოთულ ყვირნას მსოფლიო ხალხთა ხმაურს, ის დღესაც სიცოცხლით აღსავსეა და არ არსებობს არავითარი ნიშანი მისი დამძუნების, მოხუცებულობის, აღსასრულის. და ის არის შთაიარა მთავარი.

ჩვენ ვარსებობთ რადგანაც ქართველებს, ჩვენს წინაპრებს, ხმლები ქარქაშებზე არასოდეს არ ჩაუგიათ შემოსულ დამპყობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და, უმადან-უამად, თუმცა ხშირად დიდი მსხვერპლის საფასურად, ჯიუტად მიერეკებოდნენ მომხდურ სამშობლოს სამაწებლად. აღიღებდნენ საკუთარ სახელმწიფოს და მით უზრუნველყოფდნენ მომავლისათვის გადაშენების, გადაგვარების ან გადაჯიშების საფრთხეს.

ასევე მოხდა, უკანასკნელად ჩვენი ერის ისტორიაში, 1918 წლის 26 მაისს, როცა, 117 წლის განმავლობაში რუსეთის სახელმწიფოს მპყრობელობაში ყოფნის შემდეგ, ქართველმა ხალხმა კვლავ აღიდგინა თავისი ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფო და ის ამცნო მთელს მსოფლიოს.

ეს თაოილი ერთოთი დიდებული ნიშანსვეტია ქართველი ხალხის უსასრულო ერთობა სვლაში. ის დღესაც მანათობელი შექტარაა აბობოქრებულ მსოფლიოს ქართველში მტკარავ ქართული ეროვნული გემისა.

ნოე ყორღანია სამართლიანად ბრძანებდა: „ოვობრც მეტხრამეტე საუკუნის სადრანგეთმა არ მოისვენა სანამ არ დაღბრუნდა მისი დიდი ოვეოლუციის იდეებს, ისე ქარველობა არ მოისვენებს მანამ სანამ არ დაიბრუნებს 26 მაისის მოტაცებულ იდეებს.“ რა იყო ეს იდეები? - სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული, საქაოთველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, სადაც მთელი ბალაუფლება მის მკვიდროთ ეკლთვით.

ქართველი ხალხის მტრები, დღეს, საქართველოში, ახალგაზრდებს, არწმუნებენ თითქოს 26 მაისი ყოფილიყოს ერთი პარტიის, ეგრძოდ სოც. დემოკრატიული, ე.წ. მენშევიკური პარტიის აგანტიოოს, თითქოს ქართველი ხალხი წინააღმდეგი ყოფილიყოს ოლქეთიდან გამოყოფისა. ტყუილი, უსრცხვილო და უტიღარი! რასაც აქარწყულებს უტყუარი ისტორიული ფაქტები და ჯეო კიდევ ცოცხალი ადამიანები, რომლებიც პირადად დაესწრნენ და უშუალოდ გაიცადეს ის ბედნიერი დღეები ჩვენი ჯგარტმული ერის მკეოდეთით აღდგომისა. მართალია 1918 წლის საქათველოში ყველაზე მისწინელოვან ორგანიზებულ ბალაუფმევიკური პარტია წარმოადგენდა, ამ პარტიას და მის ლიდოებს ხედთ ღირსება ებეო, მძღვენელათ ქაოთული სახელმწიფოს აღდგენისათვის, მაგრამ ეს პარტია არ ყოფილა ერთადერთი. მათ გვეოდში ედგენენ, აქეუბდნენ, ეხმაოებოდნენ ყველა კაოთლო ეროვნული პარტიები, საზოგადოებები, ჯგუფები, ერთი სიტყვით ერის ყველა საციცოცხლე ძალები და ამიბრტ ის იყო ერთი საეთოთ ნებასუგოილის გამოვლინება. ის ფაქტა, რომ დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობას, სადაც სოციალისტები სქაობობდნენ, საქ. თავდადახალლობამ, თავისი წინამძღოლის, კოტე აფხაზის ხელით, მთელი თავისი ქონება გადასცა, და მით ახლად შექმნილ სახელმწიფოს მატერიალოი ბაზა შეუქმნა, ქართველი ხალხის ნებისყოფის ურყევი გამოვლინებაა. ის ამბავიც, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოს დამფუძნებელ საკრებულოში, სრულ თავისუფლებაში და მრავალპარტიულ- დემოკრატიული წესით, ხალხის მიერ არჩეულმა დამფუძნებელმა კოებამ ერთხმად დაამტკიცა რუსეთიდან გამოყოფის და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის 1918 წლის 26 მაისის აქტ. უცილო მოწომბს ქართველი ხალხის ერთსულოვნებას ამ საკითხში.

დღეს ქართველებს შორის კამათი შეიძლება არსებობდეს თუ რატომ უფრო ადრე არ გამოცხადდა დამოუკიდებლობა, ანდა დამოუკიდებლობის აქტის ზოგიერთი ადგილი შეეფერება ფუ არა დამოუკიდებლობისათვის მუდამ მეტბოლი ქართველი ერის ღირსებას,



ხოლო ეს დამოუკიდებლობა, რომ საჭირო, აუცილებელი და დადებითი მოვლენა იყო თველი ერის ცხოვრებაში, ამაზე არავითარი აზრთა განსხვავება არ არსებობს, არც შეიძლება არსებობდეს.

26 მაისის საქართველომ დიხანს ვერ იარსება, ის კვლავ რუსეთის, ამჯერად საბჭოთა, სახელმწიფოს მძლავრობამ დაამხო. გარნა მან ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტი ანდამატური მიზიდველობა მოიპოვა, უფრო ბრწყინვალე შარავანდელით შეიმეო თავი, რამდენადაც უფრო მეტი შეკირვება და ძნელბელობა გადახდა თავს ქართველობას. ამიტომაც 26 მაისობის დღესაწაული უბრალო გართობის დღე კი არ არის ქართველი კაცისათვის, სადაც არ უნდა იყოს ის, არამედ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ეროვნული-პოლიტიკური მანიფესტაცია.

გადმოხვეწილობაში სამი ქართველიც კი თუ ერთმანეთის მახლობლად ცხოვრობს, ამ თარიღისადმი მიძღვნილი დღე ერთად უნდა იზეიმონ და მასში საქართველოს უცხოელ მეგობრებსაც წილი დაადებინონ. ამ დღისადმი გულგრილობა ნიშნავს ცუდ, ძალიან ცუდ მამულიშვილობას.

რაც შეეხება სამშობლოს, დროა იქაც დაითრგუნოს სახელმწიფოს ტერორისგან გამოწვეული შიში, თუ აშკარად ვერა, ფარულად მაინც ეს დღესასწაული უნდა ხელახლად გადაიქცეს ჭეშმარიტ მამულიშვილთა შეკრების და ჩვენი სამშობლოს მტრებთან ბრძოლის დრომად და სიმბოლოდ.

გვხედობთ რა 26 მაისს, მოვიტხოვთ რა 26 მაისის საქართველოს აღდგენას, ის სრულებით არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვსურდეს, რომ ჩვენ მოწადინებული ვიყოთ, რომ ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდეს ქართველ ხალხს თავს მოვახვიოთ ესა თუ ის რეჟიმი, ესა თუ ის მართველობა, ესა თუ ის პარტია, არამედ ეს ნიშნავს, რომ საქართველოდან უნდა ამოიკვეთოს უცხო ერის, ამ შემთხვევაში რუსი ერის სახელმწიფოს ბატონობა, კვლავ აღსდგეს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო, რომელსაც გაუძღვება ქართველი ერის ნდობით აღჭურვილი ადამიანები, დემოკრატიულად არჩეული, სრულ პოლიტიკურ თავისუფლების პირობებში. ასეთია ის შინაარსი, რომელსაც ჩვენ ვდებთ 26 მაისის დღესასწაულში.

გაუმარჯოს 26 მაისს, ქართველი ერის თვითხელმწიფების დღესასწაულს! მარადეამს ცოცხლობდეს და გამარჯვებული იყოს ქართველი ერი!

--- --- --- --- --- --- ---

26 მაისი

(სიტყვა წარმოთქმული ამერიკის შ.შ.ის ქართულ სათვისტომოს მიერ გამართულ საზეიმო კრებაზე ქ. ნიუ-იორკში, ამა წლის ოც მაისს)

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოა. 26 მაისი ჩვენი ერის თავგანწირული ბრძოლის დროშაა. რუსეთის მპყრობელობის მძიმე უღლის გადაგდებისათვის წარმოებულ ბრძოლათა გვირგვინია.

26 მაისი ერთი დღის თარიღია, მაგრამ ეს აღდგომა ერთ დღეს არ მომხდარა; არა, ამ დაუეწიარ დღეს ჩვენი გრძელი და სახელოვანი მატიანის ახლებური გამოვლინება მოხდა... ქართლის ცხოვრების“ ახალი ფურცელი გადაიშალა. ურყეობა და სიმტკიცე მის საძირკველს იმ დიდმა ბრძოლებმა მისცეს, რომლებიც 117 წლის განმავლობაში წარმოებდა და, რომელიც იმ დიდთან დაიწყო, როცა უძველესი სახელმწიფო ივერიისა, 1801 წელს, რუსეთმა განუთხოხავად საკუთარ გუბერნიად გამოაცხადა, ვერ გაძარცვა, ქართული ენა და ეკლესია წარტაცა. მიუხედავად უკიდურესი დასუსტებისა, ქართველი ერი არ შეურიგდა რუსეთის ამ მიუხანათურ აქტს და 18 აჯანყებით უპასუხა. შემდეგი წლების მიუხედავად უნუგუშო მდგომარეობად რომ არ ქცეულიყო, ერის გამხენეების, იმების გადავიების და სულიერი სიმტკიცის შენარჩუნების მისია ქართველმა მწიერებმა და ინტელიგენციამ აკისრა და ეს 117 წლის ბრძოლა 1918 წლის 26 მაისით დაგვირგვინდა.

ხანმოკლე იყო ჩვენი დამოუკიდებლობა. სამი წელიწადი ანათებდა მისი მზე ჩვენს ტურფა სამშობლოს არემარეს. 120 წლის განმავლობაში ორჯერ გათელა ფეხით რუ-







სეთმა თავისივე ხელშეკრულებანი საქართველოსთან და ამით დაიწყო თავისი სპეციფიკური უნაპირო იმპერიის გაზრდა.

**1922 წლის** სტიქიური გამოსვლები, **1924 წლის** საყოველთაო აჯანყება, **1956 წლის** სტუდენტების გამოსვლები, **1978 წლის** მასიური მანიფესტაციები, რომელმაც მთელი მსოფლიო ალაპარაკა, ლაპარაკობს იმას, რომ **26** მაისის საძირკველი ეხლაც ურყევად დგას ქართველ ხალხის გულში.

წითელი რუსეთი არ დაკმაყოფილდა დედამიწის ზურგის ერთი მეექვსედით და **1921 წლიდან** დღემდე ერთ მებუთედს მიადღწია. იჭაქება, რათა დარჩენილი თავისუფალი მსოფლიოც ხელში ჩაიგდოს და „ერთა საპყრობილეში“ კარები გამოუხუროს. მაგრამ, ბაყაყიცი იჭაქებოდა ხარად რომ გადაქცეულიყო, და გასკდა. ქვეყნის დასაბამიდან სხვა იმპერიებიც ცდილან მსოფლიოს დაპატრონებოდნენ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ ზიდა ეს საპაღონე და დაინთვა. ასევე მოუვა რუსეთის იმპერიასაც.

მეოცე საუკუნის ორმა დიდმა და მრავალმა პატარა ომებმა სრულიად შეარყიეს ს-ერთაშორისო წონასწორობაც, მორალიც, ძველებური შეგნებაცა და მცენებანიც, მაგრამ ამავე საუკუნემ გააცოცხლა ისეთი მცენებებიც, როგორცაა სამართლიანობა, თავისუფლება, უფლებები ადამიანისა და ერისა. აზია და აფრიკა დღუნან. ერები ეცლებიან იმპერიების ბრჭყალებს- გეზი მსოფლიოს ეროვნულ კალაპოტში ჩადგომისა ადებულისა. შეუძლებელია ერთადერთმა იმპერიამ და ისიც ყველაზე ვერაგმა და სიცრუეთა საძირკველებზე დაფუძნებულმა საბჭოთა რუსეთისამ გვერდი აუხვიოს ამ საცაცობრიო გეზს.

პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა გამოიწვიეს მეორე. ამ უკანასკნელის შედეგები კიდევ უფრო სავალალოა. ევროპის გული, გერმანია, სამად არის გაყოფილი. პოლონეთი-ფაქტიურად ვისი მიზეზითაც ომი დაიწყო- და მთელი აღმოსავლეთი ევროპა რუსეთის ბრჭყალებში მოექცა. რაც მთავარია, რუსეთის დათვი და ჩინეთის უფრხული ერთად ვერაძოვენ მარქსიზმის ბლახას, მათ შორის სამეკდრო-სასიცოცხლო ღვაწა წარმოებს, რაც დამატკიცებელია კომუნიზმის უტოპიურობის და კომუნისტური ინტერნაციონალიზმის სიყაღბის.

მსოფლიოს პოლიტიკური მდგომარეობა დაძაბულია, თუმცა ბევრს ლაპარაკობენ ამ დაძაბულობის განელებაზე, საქართველოსი და რუსეთის მიერ დაპყრობილ სხვა ერების ხსნა ამ მსოფლიო დაქიმულობის კვანძთან ერთად გაიხსნება. ვინც იცის მსოფლიო ისტორია ერთა და იმპერიათა საუკუნოებრივი ჭიდილისა, ის არასოდეს იმედს არ დაჰკარგავს. ჩვენ, ქართველებმა ეს ვიცით არა ცარიელი სიტყვებით, არამედ ათასწლოვანი სისხლიანი გამოცდილებით: ჩვენს გარშემო ყველა მსოფლიო იმპერია დაინგრა,- რუსეთისაც უნდა დაინგრეს! და დაინგრევა კიდევ. ახალი **26** მაისის დღე უსათუოდ გაგვითენდება.

მარადი ხსოვნა დამოუკიდებლობის აღსადგენ ბრძოლებში დაცემულ გმირებს!

გაუმარჯოს საქართველოს! დიდება ქართველ ერს!

ირაკლი მენთეთაშვილი

და მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ის დ დ ე ს ა თ ვ ის ტ ო მ ო ე ბ შ ი

პარიზი

სამოქალაქო დღესასწაული წელს გაიმართა შაბათს, **19** მაისს, პარიზის მეთოხმეტე არონდისმანის სადღესასწაულო დარბაზში. ზეიმი დაიწყო საღამოს **9** საათზე. გუნდმა შეასრულა საქართველოს და საფრანგეთის ეროვნული ჰიმნები. კრება გახსნა და ფრანგულად და ქართულად შესავალი სიტყვით მიმართა სათვისტომოს თავმჯდომარემ, ბატონმა ვიქტორ ხომერტიკამ. შემდეგ კი, ფრანგულ ენაზე ღრმა შინაარსის სიტყვა წარმოთქვა თავმჯდომარის მოადგილემ, ბ-მა ტარიელ ზურაბიშვილმა. სტუმრებიდან კრებას მიესალმა უკრაინელების წარმომადგენელი, რომელმაც სხვათაშორის განაცხადა, რომ **50** მილიონი უკრაინელიც ქართველებთან ერთად იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. პოლიტიკური განყოფილების დამთავრების შემდეგ დაიწყო ვახშამი, რომლის დროსაც სცენაზე წარმოადგინეს ქართული ხალხური ცეგებები მომზადებული ქორეოგრაფ შოთა აბაშიძის მიერ. ლხინი გაგრძელდა დღის ორ საათამდე.

(გაგრძელება იხილეთ მე-11-ე გვერდზე)





ს ა ბ ჰ კ . კ ა ვ შ ი რ ი ს მ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ე ლ ი ძ ა ლ ე ბ ი :  
პოლიტიკური და სამხედრო ხელისუფლება\*)

საბჭოთა საზოგადოება შეიძლება დაინახოს და აღწეროს ორ სრულიად ერთმანეთის საწინააღმდეგო სახით. ერთი მხრით, როგორც მრავალეთნიური, რომელთა შორისაც განსხვავება უეცრად გაღრმავდა დემოგრაფიული სხვადასხვაობის გამო; ანდა, როგორც ახალი საზოგადოება, სადაც მავრთიანებელი ძალები უფრო მეტ დაწოლას ახდენენ ვიდრე განმასხვავებლები, და ეს ძალები მოქმედებენ უწყვეტად, რათა გაავითარონ ერთიანობა. სწორედ ეს უკანასკნელი შეხედულება სქარბობს სსრკ-ს 1977 წლის კონსტიტუციაში. ორივე პიპოტენზიაში, ცენტრალური ხელისუფლების როლი გადამწყვეტია. საკითხი ეხება როგორც გამავრთიანებელ ძალას თუ როგორც იარაღს, რომელიც საშუალებას იძლევა სხვადასხვაობის სამეთვალყურეოდ, ცხადია, რომ ხელისუფლებას შეუძლია ჰქონდეს გადაწყვეტი გაგვინა საბჭ. საზოგადოების მომავალზე. ამიტომ საჭიროა განვიხილოთ თუ როგორ უდგება ნაციონალურ საკითხს საბჭოთა ხელისუფლება და როგორი მიდრეკილება შეინიშნება მის მოქმედებებში და გადაწყვეტილებებში.

მომავლის კითხვა: საბჭოთა ფედერალიზმი

ხრუშჩევმა თავის მემკვიდრეებს დაუტოვა ლოზუნგი უახლოეს დროში ერთა გათქვეფისა. მიუხედავად იმისა, რომ მისმა შემცველებმა თუ წინააღმდეგობა არა დიდი უნდობლობა მიანიც გამოიჩინეს მის მიერ დატულ პროექტების მიმართ, ერთა გათქვეფის საკითხი დატრეპებული იქნა ახალი ხელმძღვანელების მიერ.

სსრკ-ის კომპარტიის 25-ე ყრილობამდე, 1976 წლამდე, ე.ი. თორმეტი წლის განმავლობაში ხრუშჩევის შემცველმა ხელისუფლებამ მუდმივად გამოუცხადა თავისი ერთგულება ამ ერთ ხალხად ქვეყნის მიზანს. სწორედ ამ საკითხში მას შეხვდა თავიდანვე დიდი წინააღმდეგობა ეროვნებათა ელიტებთან. 1966 წლიდანვე გაიმართა - ერთი შეხედვით უბრალო მედიკურული ბაისი - სიმამღილეში ცხარე კამათი ერთ ხალხად გადაქცევის მომხრეებს და ძველმზურად დატოვების მომხრეებს შორის. ამ უკანასკნელს იცავდნენ ეროვნული კადრები და ინტელიგენცია. ერის დამცველთა პოზიცია უბრალო იყო: საბჭოთა სახელმწიფომ შეასრულა შესანიშნავი ისტორიული მისია ერთა თანასწორობის და გაფურჩქვნის გატარებით. ამით მან აჩვენა მნიშვნელობა და მუდმივობა ეროვნებისა. ცადო ერების დასუსტება, კითხვის ქვეშ დააყენო საბჭოთა ეროვნებები, ნიშნავს კითხვის ქვეშ დააყენო საბჭოთა რეჟიმის ყველაზე საუკეთესო მიღწევა.

25-ე ყრილობაზე, როგორც ჩანს, გაიმარჯვა ეროვნულმა თეზისმა, რადგანაც ყველა ორატორი ხოტბას ასხამდა, პირველად 1961 წლის შემდეგ, საბჭოთა ეროვნულ პოლიტიკას და ესალმებოდა ხალხთა გაფურჩქვნას და მეგობრობას და არ ლაპარაკობდა გაერთიანებაზე, რომელსაც ადრე გულთი იცავდნენ. 1977 წლის კონსტიტუცია ნაწილობრივ ინარჩუნებს ამ შინაარსს, რადგანაც ის ტოვებს ფედერაციულ წყობას და უფლებას გამოყოფის(მუხლი 72), მაგრამ ეს კონსტიტუცია დაზღვეული არ არის ორქოფობისგან, როცა საკითხი ეხება ფედერალიზმის მომავალს! ახალი კონსტიტუციის წამოყენებასთან დაკავშირებით, ლეონიდ ბრეჟნევმა ის გაამართლა ორმოცი წლის ეკონომიური პროგრესით და წინ წასული სოციალისტური საზოგადოების არსებობით საბჭოთა კავშირში და განსაკუთრებით ახალი ისტორიული ერთობის: საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბებით. აქ თავს იჩენს პიველი ორქოფობა კონსტიტუციისა, რომელიც აცხადებს საბჭ. საზოგადოების განვითარებას, რომელსაც გადაუღახავს ეროვნული სხვადასხვაობა, რადგანაც საბჭ. ხალხი არსებობს. ამავე დროს ის ტოვებს ფედერალიზმს, რომელიც წარმოადგენს ეროვნულ განსხვავებების გამოხატულებას უფლებაში. რომელს უფრო მეტი წონა აქვს, საბჭ. კონსტიტუციაში, ერთიანობის გაცხადებას საბჭ. ხალხის სახით, თუ ფედერალიზმის დატოვებას, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა-

\*) ეს სტატია ამოღებულია ქან ელენე კარერ დანკოსის წიგნიდან „დამსხვრეული იმპერია“ თავი მეოთხე, გვერდი 123 - 168.



ობას საბჭ. კავშირის ერთა შორის? კონსტიტუციის გარჩევა გვარწმუნებს პერსონალურ საზრების სასარგებლოდ. უპირველესად, სსრკ იქ წარმოდგენილია, როგორც სახელმწიფოებრივი ერთობის გამოხატულება, როგორც საერთო იარაღი ყველა ერების შესაკავშირებლად, კომუნიზმის დასამყარებლად.

1936 წლის კონსტიტუციაში ხაზგასმული იყო ფედერალიზმი და მასში თავისუფალი შესვლა სუვერენული ერებისა, მაშინ როცა ახალში ყურადღება გამახვილებულია ერთობის ნებაზე და, რომ უკვე კიდევაც არსებობს ზაზა ამ ერთობისა. ამ შესავალი პარაგრაფით უკვე ცხადი ხდება, რომ ფედერალიზმი მხოლოდ წარსულის გადმონათვია მიღწეული ერთობისთან შედარებით.

გამოყოფის უფლება უნდაა უფრო მეტი იმ მთელი რიგი ღონისძიებების გვერდით, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სსრკ სახელმწიფოს ორგანოების განმტკიცებას ემსახურებიან. მართლაცდა, რას ნიშნავს ეს უფლება, რომლით სარგებლობაზეც არავის არ უფიქრია სსრკ-ში და არც არავის მოუთხოვია მისი ცხოვრებაში გატარება? იტყვიან: არავის ამის სურვილი არ ჰქონებია ან არავის აზრად არ მოსვლიათ, მაგრამ ერთი ცხადია, როცა ამ კონსტიტუციის ტექსტს კითხულობ, გამოყოფის უფლებით სარგებლობა, იურიდიული თვალსაზრისითაც კი, განსაკუთრებით გათვლებულია 1936 წელს შემუშავებულ კონსტიტუციასთან შედარებით. 1936 წლის კონსტიტუცია იყო სახელმწიფოსი, ფედერაციული სახელმწიფოსი, რომელიც თავს უყრის სხვსდასხვა ერებს; ეს ერები მასში შედიან თავისი ნებით (რა თქმა უნდა თეორიულად. ხაზი მთარგმნელისა). აქედან გამომდინარე, გამოყოფა, უფლებრივად მაინც, იყო სახელმწიფო საქმე და მას უარის თქმა არ შეეძლო იმ მომენტიდან, როცა ის ცხადად იქნებოდა გამოთქმული.

1977 წელში საბჭოთა სახელმწიფომ შეიცვალა ხასიათი. სახელმწიფო მთელი ხალხისა, ისაა ორქოფული ბუნების. ის - საბჭოთა სახელმწიფო - ექვემდებარება კომუნისტურ პარტიას, რომელიც დღეიდან არის - კონსტიტუციონალურად, მმართველი ძალა, პოლიტუკური სისტემის გული(მუხლი ნ). კიდევ მეტი, ორგანიზაცია და მოქმედება ამ სახელმწიფოს უნდა იყოს შესატყვისი დემოკრატიული ცენტრალიზმის(მუხლი 3), პრინციპი, რომელიც ლენინმა გამოიმუშავა ამ საუკუნის დასაწყისში თავისი რევოლუციური პარტიის სამართავად; 1918 წლიდან მოყოლებული პარტია თითქმის მუდამ, მაგრამ არა ყოველთვის, იმორჩილებდა სახელმწიფოს, ან ის მასთან იყო გაიგივებული(პარტია იყო სახელმწიფო და სახელმწიფო იყო პარტია) საბჭ. კავშირში. იმავე წლიდან დემოკრატიული ცენტრალიზმი გამოყენებული იყო სახელმწიფოს მართვის საქმეშიც. მიუხედავად ამისა სახელმწიფო და პარტია რჩებოდნენ, კანონით, გამოყოფილნი. თვითეული მათგანი ასრულებდა მას, რაც იყო მათ-მათი განსაკუთრებული მოვალეობა და მოწოდება.

პარტიის და სახელმწიფოს გაიგივებით, განცხადებით: პარტია ის ძალაა, რომელიც მართავს სახელმწიფოს და, რომ დემოკრატიული ცენტრალიზმი არის ძირითადი პრინციპი სახელმწიფოს ორგანიზაციისა, ახალი კონსტიტუციის შემქმნელებმა ძალიან მძიმე ლახვარი ჩასვეს - კანონმდებლობით მაინც - ფედერალიზმს.

პარტიის მოწოდებაა ერთიანობა. ეროვნული სხვადასხვაობა არ შედის არც მის პროგრამაში და არც მის საქმიანობაში. ამის შემდეგ როგორღა შეიძლება გამოყოფის უფლებით სარგებლობა ისეთ სახელმწიფოში, რომელიც გაიგივებულია პარტიასთან, იმ პარტიასთან, რომელიც განსაზღვრება ერთობის პრინციპისა? პარტია თავისთავად უფალატებს თუ მან გამოყოფა დაუშვა. ამით ის უფალატებს აგრეთვე საბჭოთა ხალხს, რომლის არსებობაც ჩაწერილია ამ კონსტიტუციაში, თუ კი მან ხელი შეუწყო, დაუშვა, მის დაშლას.

რა თქმა უნდა, აქ საქმე ეხება მხოლოდ თეორიულ მსჯელობას, მაგრამ ინტერესს მოკლებული არ არის იმის აღნიშვნა, რომ ეს პირველი შემთხვევაა საბჭ. კავშირის წესწობილებებში, როცა ფედერალიზმის, სისტემის ამ საფუძვლის, შინაარსი დაკნინებულია. უნდა ითქვას: კონსტიტუცია თავის პრაქტიკულ ღონისძიებებშიაც ამუშავებს ფედერალიზმის უკან სვლას. დღეიდან ადგილი, რომელიც მას აქვს დათმობილი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სტალინის დროს. ის საბჭ. პოლიტიკურ სისტემაში კი არ არის ჩართული, არამედ



გადაგებულია საბჭ. სისტემის დახასიათების( პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური) საგარეო პოლიტიკის პრინციპების და მოქალაქის უფლება-მოვალეობების შემდეგ, კონსტიტუციის იმ ნაწილში, რომელიც ეხება საბჭოთა წყობილების ორგანიზაციის და მოქმედებას. ფედერალიზმის ეს დაქვემდებარებული პოზიცია, მოშორებული მისგან, რაც საფუძველია სსრკ-სი, კიდევ უფრო გაუარესებულია კონკრეტული ვარიანტებით, რომლებიც აწესრიგებენ საბჭ. ფედერაციულ წესწყობაზე და მისი უმადღერო რესპუბლიკების სისტემების ურთიერთ დამოკიდებულებას. 1936 წლის კონსტიტუცია აღწერდა დაწვრილებით თვითეული რესპუბლიკის უფლებებს, აღწერდა მის განკარგულებაში მყოფ საქმიანობას. სრულიად საწინააღმდეგოდ, ახალი კონსტიტუციის ტექსტი ცნობს მხოლოდ ფედერაციის უფლებებს, რომლებიც თითქმის ყველაფერს მოიცავენ. რესპუბლიკებმა კი უნდა ეძებონ, რაც წინადად მათ უფლებებში შეიძლება. აქაც, მათ ეს არ შეუძლიათ, ვინაიდან ტექსტი არაფერს ამბობს, დარწმუნებული იყენ, რომ ესა თუ ის დარგი მათ საკუთრად ეკუთვნით, რადგანაც კონსტიტუცია ჩამოთვლის რა ვრცლად ფედერაციის უფლებებს, უმატებს მუხლს რომლის განუსაზღვრელობა ვერ დაამშვიდებს რესპუბლიკებს. ეს მუხლი ფედერაციის უტოვებს „სხვა მნიშვნელოვანი საკითხების“ მოგვარებას (მუხლი 73). ხუმარას სრული უფლება აქვს შევა: ასეთი მდგომარეობა მისწრება ფედერალიზმისათვის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სტალინის კონსტიტუცია, რომელიც კეთილგანწყობილი იყო ფედერალიზმისა, დიდათ დემოკრატიული და მეტად პატივისცემული ყოველგვარი უფლებებისა, ემსახურა ცენტრალიზაციის და ტოტალიტარულ განზრახვებს, რომლებმაც სრული უფლებებმა დააკანონა, იქნება უფლებების შეზღუდვა საწინააღმდეგოდ შედეგი გამოიღოს და უფლებების შეზღუდვას დღევანდელ კონსტიტუციაში მოყვებს საწინააღმდეგოდ შედეგები და, რომ კონსტიტუცია, რომელშიც ფედერალიზმი ნულნელად ქრება, საბოლოო შედეგში მას გააძლიერებს. დიახ, ეს მომხიბლავი მსჯელობაა, მაგრამ გონებამახვილობამ არ უნდა დამალოს სინამდვილე. კონსტიტუცია არის ახლო მომავლის პროგრამა. ის აგრეთვე არის მოქმედების საშუალება გარდიდ ეროვნულ ნებისყოფადა დასასუსტებლად.

პირველ რიგში, ეს კონსტიტუცია წარმოადგენს პასუხს 1961 წელში ხრუმჩიგის მიერ გახსნილი კამათისას, სსრკ-ს მომავლის შესახებ. მისი გაერთიანების ნებისყოფა, რომელიც ასე იყო გაკრიტიკებული განაპირა რესპუბლიკებში, წარმოადგენს ამ 1977 წლის კონსტიტუციის შეთქმულებას. დიახ, ფედერალიზმი დატოვებული იქნა. მაგრამ, შეეძლოთ მისი მოშლა პირწმინდად, ისე, რომ არ გამოეწვია განაპირა ქვეყნებში მკაცრი მღელვარებები? ამ განაპირა ქვეყნებში არსებული მდგომარეობა გვარწმუნებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება იძულებულია ანგარიში გაუწიოს, ნაწილობრივად მიიღოს, მის ხელქვეით მყოფ არარუსებს, რომელთაგან ზოგიერთი ძალიან ბოზობარია! ცენტრს შეეძლო აეძლებია აშკარა ძალის გამოყენებით გამოეწვია ერთმანეთზე მიყოლებული ცეცხლში თვითდაწვა, ბომბების აფეთქება და ვინ იცის, ფართო სახალხო აფეთქებაც? უკანასკნელი წლების ამბები მოწმობენ, რომ ოპოზიციის გამოსვლები შესაძლებელი ვახდა სსრკ-ში, ახალდელნი, არც უხიფათონი, მაგრამ მაინც შესაძლებელი და მათი ჩაქრობა, ისე, რომ მათონივე გარეშე სამყარომ არ ვიგავს, ძნელი ვახდა. არარუსები ფედერაციულ წყობილებას ისე იცავენ, რომ შეუძლებელი იყო მისი აშკარა პირდაპირი დატაკება, მაგრამ ეს კონსტიტუცია ცხადად ნიშნავს, რომ ფედერალიზმი დროებით არის დატოვებული. ეს კონსტიტუცია მას ართმევს აგრეთვე ნაწილობრივად კანონიერი მოქმედების საშუალებებს და გარანტიებს.

კიდევ მეტი, ლ. ბრეჟნემა კონსტიტუციის პროექტის უზარმაზარი სახალხო გარჩევის, რომელიც ჩატარდა 1977 წლის ზაფხულში მთელს სსრკ-ში, შეჯამებისას აღნიშვნა: ადგილებიდან იყო წინადადებები ფედერაციის გაუქმების შესახებ. თუ ეს წინადადებები არ იქნა მხედველობაში მიღებული, აღნიშნა მან, ეს იმიტომ, რომ ისინი არიან არადროულნი, ნაადრევნი; მაგრამ, რაც შეეხება პრინციპს, მას არ უთქვამს, რომ ის წინადადებები მიუღებელია, ვაფრთხილებთ აქ ცხადია. არა მარტო საქმე ვგაქვს გარდამავალ მდგომარეობასთან, არამედ აგრეთვე ამ საკითხში ერთიანობა ძალიან შორსაა.

ხრუმჩიგის უტოპიურ ოცნებიდან სსრკ გარდაქმნების თაობაზე, მისმა მემკვიდ-





რეგმა თითქმის ყველაფერი დაივიწყეს, მაგრამ კარგად დაინახსოვრეს იდეა, ენა, ხელოვნება, თა საზოგადოების ერთობა გულისხმობდა გარკვეულ დროში სახელმწიფოს ერთობას (გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში)

ელენე კარერ დანკოსი

ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა ბ ჯ ო თ ა კ ა ვ შ ი რ შ ი

რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების აღიარებული მიზნები იყო ადამიანის განთავისუფლება პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური მონობისაგან.

თვით ლენინი დიდი რიხით აცხადებდა, რომ დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, საბჭოთა რეჟიმის სამოცი წლის ბატონობის შემდეგ, როგორია ეს „ახალი ერა“, რა დაუჯდა ის ჯერ თვით რუსის ხალხს, მერე მის მიერ დაპყრობილ ერებს და ბოლოს მთელ კაცობრიობას?

ტუქნიცის განვითარება, დედალიწის ორბიტზე ფრენით გათავებული, საკმარისი არ არის ადამიანის ბედნიერებისათვის, ის ვერ მოსპობს წყურვილს ისეთი საზოგადოების ფორმათა ძიებისადმი სადაც შესაძლებელი იქნება ცხოვრება სრულ თავისუფლებაში და სამართლიანობაში, სადაც კაცური ღირსება არ შეილახება.

საბჭ. რეჟიმისათვის პიროვნება არ არსებობს, პიროვნება მისთვის დანაშაულის საზოგადოებაში, რომელიც ასრულებს ხელისუფალთა მიერ დაკისრებულ ფუნქციას, ხოლო საკუთარი უფლებები და მოთხოვნებები პიროვნებას არ უნდა გააჩნდეს.

თვით ლიტერატურაც ლენინს მიაჩნდა პროლეტარული საქმის შემადგენელ ნაწილად და კეთილშობილი იდეები, მაღალი და წმინდა იდეალები არ შორდება მაღაროში გამოურული ვაჟაკის და მინდვრებში წელში მოხრილ ქალის აღწერას.

მუშები ხომ მართო მუშები არ არიან? მათაც აქვთ გრძნობები, მისწრაფებები, პირადი მოთხოვნებები, ფსიქოლოგიური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა და დაკმაყოფილება მხოლოდ თავისუფლების პირობებში შეიძლება, მაგრამ რადგან ის საბჭ. კავშირში არ არსებობს, სულიერად ჯანსაღი საზოგადოების შექმნაც იქ შეუძლებელი გახდა. საბჭოთა რეჟიმში, ისე როგორც ყველა სხვა ქვეყნის კომუნისტურმა წყობილებამ, დაამახინჯა ადამიანის ბუნება, მორალს საყრდენი გამოაცალა, გაანადგურა ეკლესიები, ბძძოლად გამოუცხადა და უხეში ძალმომრობით დაამდაბლა ყველა რელიგიური რწმენა, სახელმწიფოს მთელი ეკონომია ცენტრალურ გაბატონებულ ძალას დაუმორჩილა და ამრიგად კერძო ინიციატივაზე დაფუძნებული ცოცხალი, ნაყოფიერი და სანტერესო შრომა გეგმა-შესრულების მიმნურ შრომად აქცია და ჩაივლო რა ხელში მთელი პოლიტიკური და ეკონომიური ძალაუფლება ადამიანიც სულით და ხორციით დაიპყრო და დაიძინა.

თავისუფლება ადამიანის თანდაყოლილ თვისებაა. ადამიანის შემეცნება საკუთარი პიროვნებისა, განსხვავებით ცხოველისა, მასში ჰქმნის სურვილს თავისუფალი განვითარებისას. იდეა თავისუფლებისა უკვდავი და მუდმივია, და ადამიანი თავისი ერის თავისუფლებაში და მისი უფლებების და მოვალეობათა პატივისცემაში იზრდება და იფურქვნება. ეს ზნეობრივი აღზრდის პირობები ადამიანისათვის, რომელიც უნდა ყალიბდებოდეს და ვითარდებოდეს საზოგადოების ფარგლებში, იქ მოსპობილია ცხოვრების პირობებით. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია ჰკლავს ადამიანში შინაგანი განვითარების უნარს.

საბჭ. კავშირის კონსტიტუციაში ბევრს ლაპარაკობენ „მოქალაქის უფლებებზე, მაგრამ უფლება პიროვნების ხელშეუხებლობისა, სიტყვისა, წერისა, გაფიცვისა, ქუჩებში მანიფესტაციებისა და მიტინგებისა, პოლიტიკური და პროფესიული დაჯგუფებებისა და სხვა და სხვა ...იქ მხოლოდ ქალღმერთს არსებობს, ცხოვრებაში კი საბჭ. ხელისუფლებამ ვერ ითმენს და არ უშვებს მისგან დამოუკიდებლად არსებულ არავითარ უფლებას; მარტო შარშანდელი სამარცხვინო პროცესები, რომლებიც მთელს საბჭ. კავშირში, მათ შორის ჩვენს სამშობლოშიც, ადამიანის უფლებების და ჰელსინკის ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების მეთვალყურე ჯგუფების წევრების წინააღმდეგ, საკმარისია ამ უფლებების აშკარა და უხეში ფეხქვეშ გათელვის სამაგალითოდ, საბჭოთა მოქალაქის სრული უფლებობის საჩვენებლად. ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაც, ერების კავშირიდან გასვლის უფლებაც,

სტალინის კონსტიტუცია დიდი ამბით რომ აცხადებდა და ახალში დაუტოვებით, მხოლოდ თვალის ახვევის სურვილია. სინამდვილეში, 1917 წლიდან დაწყებული, არარსს ერტყმის მღებიც, სამ ბალტიის ქვეყნებთან ერთად, მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენს, თვით-გამორკვევის და გამოყოფის უფლებას და ნება-სურვილს სისხლში უხრჩობენ.

ბოლშევიკური რუსეთი ადამიანის და მცირე ერების უფლებების ყველაზე ბოროტი დამრღვევია, როგორც ოდენში უნახავს კაცობრიობას. ამ ბარბაროსულმა პოლიტიკამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომლის მსგავსი ისტორიას არ მოეპოვება.

ბელგიისა და ფრანგი მეცნიერების გამომანგარიშებით, რომელიც სრულიად ეთხვევა საერთაშორისო წითელი ჯვრის ცნობებსაც, საბჭოთა კავშირის ბატონებს 49 მილიონი ადამიანის სიცოცხლე გაუწირავთ. ამ რიცხვში ჩათვლილი არ არის 1918 წლის ფინეთის, 1918-19 წლების ბალტიის ქვეყნების, 1920 წლის პოლონეთის, 1921-24 წლების საქართველოს, 1925-31 წლების ჩინეთის, 1936-39 წლის ესპანეთის, ფინეთისა და პოლონეთისა და აგრეთვე, 1941-45 წლების მსოფლიო ომში გაღებული მსხვერპლი (გერმანიის დიდ ყოველკვირეული „ველტ ამ ზონტაგ“ 25.3.1979).

ამ წლის 18 მარტს, რადიო ლიუქსემბურგის ტალღაზე ფრანკ ელსტერი საზოგადოების ყურადღებას მიაქცევს წარმოუდგენელ 66,7 მილიონ საბჭოთა მსხვერპლზე და ხაზს უსვამს, რომ ამჟამად არანაკლები შვიდი მილიონი ტუსაღისა იმყოფება სსრკ-ს საკონცენტრაციო ბანაკებში.

ალ. სოლჟენიცინი, ემყარება რა ლენინგრაძელი სტატისტიკის პროფესორის ივან კურგანოვის მიერ 12.4.1964 წ. „ნოვოე რუსკოე სლოვოში“ გამოქვეყნებულ ცნობებს, თავის დია წერილში, საბჭ. ხელმძღვანელობას ბრალს დებს, რომ, გარდა მსოფლიო ომისა, მხოლოდ სამოქალაქო ომში და შინაურ პოლიტიკურ რეპრესიებში მსხვერპლად შეწირეთ 66 მილიონი ადამიანი. კაცობრიობის ისტორიაში არცერთ პოლიტიკურ რეჟიმს არ გამოუწვევია საკუთარი მოსახლეობის ამდენი მსხვერპლი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების ბატონობის დროს.

მიგონდება დონკიხოტის ბრძნული სიტყვები: „სისხლი შეგვიდრეობით გადადის ადამიანში, სათნოება კი, რომელიც უფრო ძვირფასია, თვით ადამიანმა უნდა მოიხვეჭოს“. და აკი, წერისა და აზრის თავისუფლებისადმი მძაფრი ინტერესი არ გამოიხატა 1967 წ. შემოდგომაზე, როცა 82 საბჭ. მწერალი თავს იყრის ალ. სოლჟენიცინის ირგვლივ და ხელისუფლების წარმომადგენელ მწერალ შოლოხოვს, რომელიც მწერალთა ყრილობაზე ცენზურას იცავს, უბასუბებს: „თქვენ კულტურის მოღალატე ხართ, თქვენს სამარცხვინო სიტყვას ისტორია არ დავიწყებსო.“

ლონდონის „დეილი სკეიჩი“ თავის 1970 წლის ნომერის გამოცემაში სამართლიანად შენიშნავს, რომ დასავლეთისთვის გაუგებარია თუ რა დიდ მსხვერპლს იღებენ საბჭ. კავშირში თავისუფლებისთვის მებრძოლი ხელოვანი და მეცნიერი, რომლებიც კრემლის სისახტიკე უბრისპირდებიანო.

ალ. სოლჟენიცინი, რომელსაც მიუხედავად სასტიკი მუქარისა დანაწიერი უკან ვერ წაადებინეს და, რომელმაც გამოქვეყნების მძიმე ხვედრი არჩია მის სამშობლოში შერცხვენილ ცხოვრებას, მსოფლიოში სახელგანთქმული ჩელისტი მსტისლავ როსტროპოვიჩი, თავის მეგობარ სოლჟენიცინს რომ იცავს და თავშესაფარს აძლევს, საბჭ. ატომბომბის შემქმნელი აკადემიკოსი ან. სახაროვი, ადამიანის უფლებათა დამცველების სიმბოლო, შეუღრკეულად რომ იტანს ხელისუფალთა შევიწროებებს და დამცირებებს, ვლადიმერ ზუკოვსკი, ვალერი ჰალიბი, ტატიანა ხოლოპოვიჩი, ტატიანა ველიკანოვა, სერგეი კოვალევი, დიმიტრი პანინი, გენერალი გრიგორენკო, მწერალი მაქსიმოვი, აკადემიკოსი იური ორლოვი, და სხვები, რომელთა მართო სახელების ჩამოთვლა ერთ წიგნს შეადგენდა და, რმლებიცსაერთაშორისო პრესამ „დისიდენტებად“ მონათლა, საბჭოთა მძინვარე ტრანაისთან ბრძოლის უშიშარი რაინდები არიან ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. ამ რული დისიდენტების წყალობით ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს თვით რუსის ინტელიგენციის დრმა ამოძრავება კანონიერებისა და თავისუფლების სასარგებლოდ და ამავე დროს მათ დაუფასებელი დამსახურება მიუძღვით მსოფლიო საზოგადოების გათვითცნობიერების საქმეში საბჭოთა რეჟიმის ქემშარტი რაობის დასაგებად.



ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ე.წ. რუსულ დისიდენტურულ გავლენა-ურთიერთობას ჩვენს სამშობლოში. 1973-74 წლებში ზვიად გამსახურდის ინიციატივით იქმნება ადამიანის უფლებათა დაცვის და უფრო გვიან ჰელსინკის ხელშეკრულებათა ცხოვრებაში გატარების სამეთვალყურეო კომიტეტები თბილისში. პრაქტიკული საქმიანობის გვერდით, ეს ჯგუფი იწყებს ქართული თვითგამოცემების ბეჭდვას და გავრცელებას საქართველოში, საბჭოთა კავშირში და მის გარეთაც. ამ საქმიანობაში თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ „ადამიანის უფლებათა“ რუსეთის კომიტეტები და რუსი დისიდენტები.

გამსახურდას ჯგუფის გაბედული და ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად ქართველმა ხალხმა,

- მასთან ერთად კი მთელმა მსოფლიომ, იცის:
- როგორი არაადამიანური, ნამდვილი სადისკურთი მეთოდებია საქ-ს სავაგონო-საგარეო სატელევიზიო, პატარა არა მარტო გამოსატყვევად, არამედ მათი პიროვნების სრულ გასანადგურებლად.
- სახელმწიფო უშიშროების ორგანოების აღვირახსნილი თარეში, მათ მიერ ჩადენილი ბოროტებათა საქ. მართლმადიდებელი ეკლესიაში, უნივერსიტეტში და სხვა დაწესებულებებში.
- ქართული კულტურის ძეგლების დანაშაულობრივი მოუფელოების, დაზიანების და ხშირად სრულიად მოსპობის ფაქტები და სხვა მრავალი ამბები, რომლებიც მოწმობენ კრემლის საოკუპაციო ხელისუფლების ნამდვილ ბუნებას ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ქართული კულტურის დამდაბლება-დაცინებაში მდგომარეობს. ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანია ხელისუფლების ცდა შეაფიქროს ქართული ენა საქ-ს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, მინიმუმამდე შეამციროს მათში ქართველი ერის ისტორიის სწავლება, და ქართული ინტელიგენციის გაბედული წინააღმდეგობა ამ ეროვნული ბოროტებისადმი, რომელსაც, სავალალოდ ჩვენდა, ხშირად ხელს უწყობენ ზოგიერთი ქართველები.

ისტორიკოს ნიკოლოზ სამხარაძის დიდად ჩამაფიქრებელი მოხსენება „საქ. ისტორიის სწავლების საკითხისთვის“, წარმოთქმული საქ. განათლების სამინისტროში მოწვეულ ისტორიკოსთა თათბირზე 1958 წ. 26 აგვისტოს,

მწერალ ნოდარ წულუკისკირის სიტყვას „ნუ დავიფიქსებთ მშობლიურ ენას“, წარმოთქმულს მწერალთა კავშირში, რომელსაც ედ. შეგარდნაძე ესწრებოდა,

- მწერალ რევას ჯაფარიძის გამოსვლა საქ. საბჭ. მწერლების მერვე ყრილობაზე, ქართული სასწავლებლების გარუსების ცდის წინააღმდეგ,
- იგივე დედაინის დასაცავად ვლადიმერ ევანიას თავგანწირვა,
- და კიდევ სხვა ბევრი მნიშვნელოვანი საჭირობოტო ამბები უცნობი დარჩებოდნენ ფართო საზოგადოებისათვის, რომ არ არსებულებოდა ქართული თვითგამოცემის კრებულები ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას ხელმძღვანელობით.

ამგვარად მიღებულ ცნობების ქეშმარიტება დამტკიცებულ იქნა ფაქტებით და ხშირად თვით ოფიციალურ საბჭოთა პრესის საშუალებით. ვინაიდან ბოროტების აღმოსაფხვრელად დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ის იცოდეს ფართო საზოგადოებამ, ამიტომ ამ გამოცემებს და მათ ავტორებს ენიჭებათ დიდი დამსახურება, და ამას მათ ვერ წაართმევს არაადამიანური წამების შემდეგ გაკეთებული „მონაწილების განცხადება“. ქართველი ხალხის დიდი ნაწილი მათ უთანაგრძობობა, მათ უთანასწორო ბრძოლაში, ხოლო ზოგიერთებს სირცხვილად ისიც ყვებოდა, რომ დაბატონებულებს პრესაში თავს დაესხნენ და ამ ბრძოლურ საქმეში საქართველოს ეკლესიის მამუნიდლე მთავარი ჩაითრეს. ჩვენ ყველას ვერ მოვთხოვთ დიდ გაბედულებას და თავის განწირვას, მაგრამ შეუძლებელია არ დაიგმოს ისეთი საჯარო განცხადებები, როგორც პოეტმა-აკადემიკოსმა ირ. აბაშიძემ გააკეთა: „საბჭ. კავშირი ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც ადამიანის უფლებები კონსტიტუციაში ჩაწერილია და საქმიანად ხორციელდება“.

ჩვენს სავაგონო წერილს სამუშაოდ სთავაზობს არ იძლევა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ, როგორც მთელ საბჭ. კავშირში, ისე საქართველოში თავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლების ვითარება, ვიტყვი მხოლოდ, რომ თავისუფლებისთვის აქტიურ მებრძოლთა რწმენა, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების გარდუვალობაზე, ისე დიდად და შეუტყვევლი, რომ კრემლის გაძლიერებული დევნა ვეღარ შეაკავებს მას.





ამ ბრძოლას სულ უფრო დინამიური ხასიათი ეძლევა და როგორც შიგნით ასე გარეშე ორგანიზაციული ხდება, რაც სანუგეშო იმედს იძლევა მომავლისათვის. ჩვენც, სანამ ცოცხლები ვართ, ჩვენი წველი უნდა შევითანოთ ამ ორმაგ - ადამიანის და ერის - განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში. ეს ჩვენი წვლილი ჩვენ მათ, ადგილზე მებრძოლებს, არ უნდა დაუვკავოთ თუნდაც მაშინ, როცა იქ წარმოებული ბრძოლის მიზნები და მეთოდები ზუსტად არ შეესაბამებიან ჩვენს პირად განცდებს ან პარტიულ მიზნებს. ჩვენ გვმართებს ავმალდეთ ეროვნულ და საკაცობრიო ინტერესების სიმაღლეებამდე, გვერდში ვეგვთ და ვამხნევებდეთ ყველას ვინც, შეიძლება თავთავისებურად, იბრძვის და იღწვის ეროვნული დამოუკიდებლობის და პიროვნების თავისუფლების საერთო საქმის წინ წასაწევად.

დავით ვაშაძე

**დამოუკიდებლობის დღე სათვისტომოებში(გაგრძელება. იხ. მე-4 გვ.)**

**პარიზში.**

დღე 26 მაისს, საღამოს ექვს საათზე, ქართულ ყოფილ მხედართა საზოგადოებამ ტრადიციულად ცოცხალი ყვავილების გვირგვინი დაადგა და ცეცხლის ალი გააღვივა უცნობ დრანგ ჯარისკაცის საფლავზე, რომლის დამთავრების შემდეგაც, პარიზის წმინდანინოს ქართულ საყდარში გადახდილ იქნა დამოუკიდებლობის საზეიმო პარაკლისი.

**სოფო(საფრანგეთი, ღლების დეპარტამენტი)**

დამოუკიდებლობის დღესასწაული, სოფოში მოეწყო კვირას, სამ ივნისს. საზეიმო კრება გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარემ, ბ-მა გრიგოლ კვარცხავამ. სიტყვებით გამოვიდნენ ბბ. ილია სალუქვაძე, შალვა ზედგინიძე, ბაგრატ ქაჭიაშვილი, მელიტონ ელენტი და ქალბატონი ლიუდმილა დღიშვილი. პარიზიდან სტუმრად ესწრებოდნენ და მხურვალე სიტყვები წარმოთქვეს ბბ-მა პავლე სარჯველაძემ და შოთა აბაშიძემ. პავლე სარჯველაძემ წაიკითხა საკუთარი ლექსი.

საღამო დიდ მზიარულებაში ჩატარდა. ლხინის დროს შესანიშნავად იცეკვეს ქ-მა ლ. დღიშვილმა და ბ-მა შ. აბაშიძემ. უნდა აღინიშნოს, რომ ქ-მა ლიუდმილა დღიშვილმა მიუხედავად შეუძლოდ ყოფნისა დიდად შეუწყო ხელი საზეიმო განწყობილებას. ბევრი იცეკვა, ბევრი იმღერა და იშვიათი მისასალმებელი სიტყვაც წარმოთქვა.

**ლონდონი**

ინგლისის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის, ბატონ გიორგი ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო საჯარო ზეიმის მოწყობა აქ დაბრკოლდა. თავმჯდომარეობის დროებითმა შემსრულებელმა, ბ. სერგო ფაშალიშვილმა თავის ბინაზე მოიწვია ახლო მეგობრები და ამრიგად აღნიშნეს ჩვენი დამოუკიდებლობის დღე.

**ნიუ იორკი**

ამერიკის შ.შ-მის ქართულმა სათვისტომომ დამოუკიდებლობის დღე იზიმა 20 მაისს. საზეიმო კრება გახსნა ბ. სანდრო ბარათელმა. სიტყვები წარმოთქვეს: ქართულად ბ. ირაკლი მენტეშაშვილმა, რომელიც ზემოდაა დაბეჭდილი, და ინგლისურად ბ. გივი ზაღდასტანიშვილმა. კრების დამთავრების შემდეგ, გამგეობა დამსწრეთ გაუმასპინძლდა კოკტილით და საუზმეულობით.

**ზ. გამსახურდია განთავისუფლებულია?**

ივნისის ბოლოს დასავლეთის პრესის საშუალებით გავიგეთ თითქოს საჭ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა ზ. გამსახურდიას აპატია დანაშაული და გაანთავისუფლეს. ჩვენ ამ ცნობას ვაყენებთ კითხვის ქვეშ, მაგრამ მიგვაჩნია სრულიად შესაძლებლად. საბჭ. ზელისუფების ულოლიკობის დამადასტურებელი იქნება თუ ამის შემდეგ კიდევ პატიმრობაში დატოვებენ შერაბ კოსტავას და ვიქტორ რცხილაძეს.

## 200 წლის ისტორია საქართველოს

უციობა თუ უფუნურება ბ. გ. კარბელაშვილისა?


ა. წ. თებერლის გაზეთ „სამშობლო“-ში, ბ. გივი კარბელაშვილი ბრძანებს: „ორასი წელიწადია საქართველოს მიწა აღარ გამხდარა უცხო მომხდურთა საპარპაშო, ორასი წელიწადია ჩვენი კერა აღარ დარბეულა ქართული ენისა და ერის გადაშენების მოწოდინეთა მიერ, ორასი წელიწადია ქართული ენის მსხვერპლად აღარ გაუღია პაატა, აღექსანდრე, ლევანი, დოთუნა...“-ო. რას მივაწეროთ ეს სიტყვები? ავტორის უმეცრებას, უგონურებას თუ მესხიერების ღალატს? მე მინდა მას მოვავიჯო ზოგიერთი უტყუარი ამბები უკანასკნელი ორასი წლის ისტორიიდან და მას ჩემი საკუთარი თვალთ ნახულიც დავუმატო.

დავიწყებ ალა-მაჰმად-ხანის შემოსევით. კრწანისის გმირული ბრძოლა, სიდაც განსაკუთრებით თავი ისახელა და მტერს უკლებლად შეაწყდა 300 მამაცი არაგვისბირელი. გამარჯვებულმა ყიზილბაშებმა თბილისი და შისი შემოვიყენა გაძარცვეს, გადაწვეს. მოსახლეობა დააწოკეს, ამოხოცეს და ბევრი ტყვედაც წაასხეს. განა ეს ამ ორას წელში არ მოხდა?

განა ორასი წელია მას შემდეგ, რაც ადვილი ჰქონდა რუსეთ-ოსმალეთის 1854-55 წლების ომს? ომარ ფაშის სარდლობით შემოჭრილ თურქეთის ჯარებს რუხის ციხესთან შეაწყდებდა ათი ათასი გურიის და იმერეთის მილიციები. რუხის ჯარის რეგულიარულმა ნაწილებმა, რომლებიც უკან იხევდნენ გადაწვეს და ააფეთქეს სამეგრელო, ხოლო შემდეგ თურქებმა გაძარცვეს და ახალგაზრდა ქალები და ვაჟები სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად გარკვეს. იქნება სამეგრელო საქართველო არ არის ბ. კარბელაშვილისთვის?

ესლა ზოგიერთი ჩემი მშობლიური მესხეთ-ჯავახეთის ამბებიც გავიხილო. იმ მესხეთ-ჯავახეთისა, რომელიც საქართველოს კულტურის აკვანი ყოფილა. ამ ორასი წლის წინად მესხეთ-ჯავახეთი და ტაოხი არზრუმიდან ტრაპიზონამდე გადადიოდა. მართალია გათათრებული იყო, მაგრამ მაინც „გურჯისტან ვილიეთად“ იწოდებოდა. რაღა დარჩა მისგან დღეს? შეეერთებთ ართვინელებს, არტანუჯელებს, ბორჩხელებს, ყარსლებს და ლაზებს თუ შეინარჩუნეს თავიანთი დედაენა ან ეროვნება? გასულ საუკუნეში, როცა რუსებმა ახალციხე-ახალქალაქი აიღეს, ქართულის მაგივრად რუსული შემოიღეს. ამის გამო სამასი ათასი მესხი თურქეთში გადასახლებულა. უთქვამთ: „შეჩვეული ქიორი ჯობია შეუჩვეველს.“ დაცარიელებულ ტერიტორიაზე კი სომხები ჩამოსახლეს თურქეთიდან გამოქცეული. როცა ჩვენი „მფარველი“ რუსები ახალციხეში შესულან, იქ ერთი ბელგიელი ყოფილა, ის აგვიწერს თუ რამდენი იშვიათი ძველი ხელნაწერი იქიდან ახალ დამპყრობელ რუსებს თავიანთ სამშობლოში გაუგზავნიათ. მარტო საფარის მონასტერში იმ დროს სამოცი ბერი ყოფილა. რუხის ჯარისკაცებს ყველა გარედ გამოუყრიათ და მონასტერი დაუნგრევიათ.

ახლა თვით ჩემი თვალთ ნახული ამბავი. ის 1914-18 წლის ომს შეეხება. როგორც სხვა ადგილებიდან, ასპინძის რაიონის სოფელ ძველიდან, რომელიც ჩემი სამშობლო გახლავთ, თითო კომლი მოსახლიდან ორი ვაჟაკი მაინც რუხის ჯარში მსახურობდა. მაშინ შვიდი წლის ბიჭი ვიყავი. მასსოვს თურქეთის ჯარების მოახლოებისას მოსახლეობამ საესე ოჯახები მიატოვა და გაიხიზნა. ძალიან ცოტა თუ დაბრუნდა უკან ომის დამთავრების შემდეგ, დიდმა უმრავლესობამ ვერ აიტანა ყარაიას მიუჩვეველი ჰავა და იქ დაიხოცა. უკან დაბრუნებულთ რა დახვდათ შინ? ორჯერ არაფერი. ყველამ ვერ მოსწორა გახიზვნა. თებერლის ერთ დამეს, სოფელ ძველს თავს დაესხნენ თათრები და აიკლეს. 15 ქართველი დაჩეხეს ცულეებით და სატყერბით. იმათში მხოლოდ მამაჩემი იყო ტყვიით მოკლული. მამა გაქცეოდა მომხდურთ, გაქციულისთვის ესროლათ და ბექში მოხვედრალ ტყვიას მარცხენა ძუძუ გამოეხეთქა. დილით ქალები და ბავშვები გამოვიდით ჩვენ-ჩვენი მკვდრის მოსახილველად. ზოგიერთი ისე იყო დასახიჩრებული ცნობა აღარ შეიძლებოდა. ქალები ერთიმეორეს ეუბნებოდნენ ეს ფეხი იმისია, ეს ხელი კი ამისიო. მათ შორის ნესტორა იყო აუწერლად დამახინჯებული და მისი გამოცნობა შეუძლებელი გახდა. ადვილად იცვენს სიმონი ივანიძე, რომელსაც ზედმეტ სახელად ბრმა სიმონას ეძახდნენ, რადგანაც ერთი თვალი ქე-



რის ფხტი ჰქონდა გამორწყული, რის გამოც მუდამ თეთრი საფარველით იხვევდა. სწორედ ამ თეთრი საფარველით მისი გვამი ადვილად გამოიკენეს. სიმონი თავმომწონე გლეხი, ოთხი ვაჟი და ჰყავდა, ოთხივე ჯარში გაწვეულები, და ერთიც ლამაზი ქალშვილი ნინო. მეორე დღეს სიმონის ოჯახში დაუკითხავად შევიდა ერთი კაცი. ის იყო მეზობელი თათარი ჯაბო. მან ნინოს მიმართა: „ნინო ჯან ეხლა რას იტყვი, შენი ძმები წასული არიან, მამა მოგიკლეს, ეხლა ხომ მაინც ჩემი იქნები?“ ჰოი, შე წყველო და ურჯულო, შესძახა ლამაზმა ნინომ, ეხლავე მე შენ გიჩვენებ თუ როგორ მე შენი ვარო. იძრო ვაჟაკივით უბოძი და მალული რევოლვერი. დედამისი ხელეზზე ჩამოეკიდა; ვედრებით უთხრა: „შვილო ნუ იზამ მაგას, ჩვენც დაგვხოცავენო.“ „მაშ, დედაჩემო, მაგ ძაღლის სიკვდილი თუ არ გინდა, მე ჩემსას ვედარ ამიკრძალავო, ჩემს ცოცხალ ხელზე ხელს ვერ მომაკარებსო.“ ამ სიტყვებთან ერთად, სანამ წამწამს გააჩხვდნენ, ნინომ თავის ქალწულ ცოცხლად ძუძუს თავზე ააფეთქა რევოლვერი. იკივლა საწყალმა დედამ: „გაიმი მიშველეთო!.. წაბარბაცდა და უსულოდ დაეცა მისი ქალიშვილის გვამს.

სავაზეთო წერილი მეტის ნებას არ იძლევა თორემ ამით არ ამოიწურება ჩვენი ერის შედგენლობის ამბები. ბატონ კარბელაშვილის საპასუხოდ ერთი უეჭველია: ამ უქანას-კნელ ორას წლის განმავლობაში ქართულმა ერმა უფრო მეტი მსხვერპლი თუ გაიღო თორემ ნაკლები არა, ვიდრე მის წინა ორას წელიწადში.

**შალვა ზედგინიძე - ძველელი**

**რედაქტორის შენიშვნა**

არა, ბატონო შალვა, „სამშობლოს“ რედაქტორი არც ისე უგუნურია და არც ისე უმეცარი, როგორც კაცს ერთი შეხედვით მოეჩვენება. ის ფიქრობს: ვიცრუებ, ძალიან ღიღს ვიცრუებ, იქნებ ცოტა მაინც დამიჯერონო. არადა რა ქნას „სამშობლოს“ რედაქტორმა? ზევდიან „ხაზუნიებმა“ უბრძანეს იცრუეო. კარგი ბიჭია და ნუ იცრუებ! მეორე დღეს აღარც რედაქტორი იქნება, აღარც კეთილმოწყობილი ბინა ექნება აბაზანიო და შხაპით, აღარც „ჩაიკა“ თავისი მძლოლით. იქნებ ყველაფერს ამას შეულოდა, მაგრამ უადგილოდ დარჩენილი, ვაი თუ ბამის მაგისტრალის მშენებლობაზე გაავაზნონ „მოხალისედ“. ეს შესაძლებლობა მას განსაკუთრებით აშინებს. ტივის საშინელ კლიმატს როგორ აიტანს?! აი მიზეზი ბ. კარბელაშვილის „სიბრძნე სიცრუისა“.

**ს ა მ შ ო ბ ლ ო ს   ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი**  
**საბჭოთა ოფიციალურ პრესის მიხედვით**

გასულ წლის 28 ნოემბერს კრემლში ჩატარდა სსრკ-ს კ.პ.ს. კომიტეტის პლენუმი, რომელმაც დაამტკიცა მნიშვნელოვანი ღონისძიებები და ცვლილებები პარტიის მმართველ ორგანო-პოლიტბიუროში. ეს ცვლილებები საქართველოსთვის გამოიხატა მისი ც.კ.-ის პირველი მდივნის, ელუარდ შევარდნაძის სსრკ-ს კ.პ.ს.კ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად დაწინაურებაში.(გასულ წელში შევარდნაძე ლენინის ორდენითაც დააჯილდოვეს, მისი 50 წლის შესრულებასთან დაკავშირებით.) სავარაუდებელია, რომ ამავე პლენუმმა დაამტკიცა მთავარ ხაზებში, საქ. პოლიტიკურ ხელმძღვანელობის წმენდა და შეცვლა, რომელიც პრესის საშუალებით შევიტყვეთ გასული წლის ბოლოს და ამ წლის დამდეგს. ეს ცვლილებები ღრმა, მასიური და მნიშვნელოვანი იყვნენ. ისინი მეტყველებენ აშკარად, რომ კრემლის მესვეურები დიდ სიძნელებებს აწყდებიან ჩვენი ქვეყნის რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარებაში.

- კრემლის თვლი და ყური საქ-ში რჩება რუსი გ.ე. კოლბინი. ის ოფიციალურად საქ.კ.პ.ს. კომიტეტის მეორე მდივანია და განაგებს პარტიულ კადრებს.
- საქ.კ.პ.ს. კომიტეტის მდივობიდან და წევრობიდან გაანთავისუფლეს ვიქტორია სირაძე, ერთადერთი ქალი და უძველესი წევრი პარტიის ამ უმაღლესი ორგანოს.
- ბიუროს წევრობიდან ასევე გაანთავისუფლეს შ.დ. კიკნაძე და ხინთიბა(აფხაზეთის კ.პ. ც.კ-ის ყოფილი პირველი მდივანი). მათ მაგივრად დაინიშნენ: გ.ნ. ენუქიძე, ნ.ა. ჭითანავა,





ინფორმაციის  
სამსახური

ხაბეიშვილი(ორგანიზაციულ-პარტიულ მუშაობის განყოფილების გამგე), და ო. ნინოსტრია (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე). ბუროს წევრობის კანდიდატებად: ბ.ვ. ალექსანდრე (აფხაზეთის კ.პ.ც.კ. ახალი პირველი მდივანი), ვ.რ. პაპუნძე და ფ.ს. სანაკოევი აქარის და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები.

- დ.ე. მჭედლიშვილი გაანთავისუფლეს გახეთ „კომუნისტის“ რეაქტორობიდან. მის მაგივრად დაინიშნა გ. ბენდინეშვილი, ხოლო პროპაგანდის და აგიტაციის განყოფილების გამგედ - ვ. ქარუმიძე.

**მთავრობაში:** კ. კეთილადის მაგივრად, შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა გურამ გვეტაძე; სსრკ-ს გენერალური პროკურორის ბრძანებით საქ. რესპუბლიკის პროკურორად დაინიშნა ანზორ ბარაბაძე; ნოდარ ჭითანავა დაინიშნა მინისტრთა საბჭოს პირველ მოადგილედ, შოთა ეცადაშვილი - სომ. მეურნეობის მინისტრად, სერგი რიგვაჯა - პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახ. კომ. თავმჯდომარედ, ნუგზარ ფოფხაძე - ტელევიზიის და რადიომაულწყებლობის სახ. კომ. თავმჯდომარედ, ხოლო ელგუჯა მადრაძე - გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახ. კომ. თავმჯდომარედ.

- მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ დატოვებულია ზ. პატარიძე და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ - პ. გილაშვილი.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი მმართველობა:** კომპარტიის ც.კ. პირველი მდივანი ბ. ალექსანდრე, მეორე მდივანი ვ. ალავიძე, მდივნები: ლ. მარშანია და ა. მოსკალენკო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ - ი. უბილაძე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ - ვ. კობახია, შინაგან საქმეთა მინისტრად - ი. კლიმოვი, ხოლო კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანად - დ. ფილია.

**უმაღლეს სასწავლებლებში მიღება**

ქართულ პრესაში გამოქვეყნებული განცხადებები უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან. მაგალითად, საშუალო სკოლების დამთავრების შემდეგ უმაღლესში შესვლის მსურველებმა დამთავრების მოწმობებთან ერთად უნდა წარადგინონ დახასიათება წარმოების ან სკოლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან(პარტია, კომკავშირი, პროფკავშირი). აქედან ცხადია: დღესაც საქართველოში(და ალბათ მთელ საბჭ. კავშირშიც) ადგილი აქვს დისკრიმინაციას სწავლის მიღების დარგში. რევიმისთვის არასანდო პირები უმაღლეს სკოლებში შესვლის დროს იცხრილებიან.

იქვე გეტყობინობთ, რომ აბიტურიენტებმა გამოცდები უნდა ჩააბარონ არა ქართულ ენაში, არამედ თავიანთ მშობლიურ ენაში. ეს არაჩვეულებრივად დიდი სიახლეა განათლების სფეროში, რაც, ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს, კარებს უღებს ფართოდ ჩვენს სამშობლოში რუსული ენის გაბატონებას.

**პოემა კონსტიტუციაზე**

პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი დიდათ დახელოვნებულია საბჭოურ მეხოტბეობაში. ბრენენვის კონსტიტუციის წლისთავს მან ასეთი სტრიქონები უძღვნა:

„იწერებოდა სამოც წელიწადს, იწერებოდა სისხლის ჩქერითაც,  
იწერებოდა ხმლითაც, ცელითაც, იწერებოდა ხიშტის წვერითაც.“

ქემარტიტებას ბრძანებს ბატონი ჯანგულაშვილი, ის უმთავრესად იწერებოდა რუსული ხიშტების წვერებით და მამულიშვილთა სისხლის ჩქერებით.

**ხალიბთა ნაფუძარი ქიათურაში?**

ქალაქ ქიათურაში და მის შემოგარენში არქეოლოგების მიერ ნაპოვნია იშვიათი ნაშთები ადგილობრივად ლითონის დამუშავების დამადასტურებლები. არქეოლოგები ამ აღმოჩენას უკავშირებენ წინაისტორიულ ხანას, რომელიც ცნობილია ხალიბების ცივილიზაციის სახელით.

ამასთან ერთად, ბენდიერება მაქვს მკითხველებს ვაუწყო, რომ ჩემმა ქალაქმა, ქიათურამ წელს იზეიმა მისი დაარსების ასი წლისთავი.



მანიფესტაცია პარიზში, საბჭოთა საელჩოსთან



ამ წლის 13 ივნისს, საღამოს 6 საათიდან 7,5 საათამდე, ამნესტი ინტერნაციონალის მოწოდებით, საბჭოთა საელჩოსთან, პარიზში, ჩატარდა საპროტესტო მანიფესტაციები. ასეთივე გამოსვლებს ადგილი ჰქონდა საფრანგეთის მთელ რიგ კუთხეებში(ლიონი, სტრასბურგი, ლიმოი, ბრეტონეთი და სხვა).

ამნესტი ინტერნაციონალის მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ მიუხედავად ხანგრძლივი და დაკნინებული თხოვნისა, მან ვერ მიიღო ნებართვა საბჭოთა ულჩთან შეხვედრის, რათა მისთვის გადაეცა თხოვნა იმ 50-ამდე პოლიტიკური პატიმრის, ჯერ პატიმრობის განსაკუთრებით მძიმე პირობების გაუზოგბეებისა, და შემდეგ მათი საქმის გადასინჯვის, განთავისუფლების და უფლების შექმნის აირჩიონ სამშობლოში თავისუფალი ცხოვრების თუ გახიზვნის შორის. ეს ორმოცდაათი პატიმარი ცნობილი და აღრიცხვაზე არიან აყვანილი ამნესტი ინტერნაციონალის მიერ.

ხალხმრავალ მანიფესტაციას, რომელსაც წინ მიუძღოდა პატიმართა განთავისუფლების მომთხოვი წარწერებიანი პლაკატების ტყე და ნიღაბოსნები, რომელთაც მკერდზე ეკიდათ იმ პატიმართა სახელი და გვარი, რომლის განთავისუფლებაც მათ განსაკუთრებით ეწადათ ალბათ საბჭოთა საელჩოს მოთხოვნით, პოლიციამ წყნარ და ჩუმ მანიფესტანტებს გზა გადაუღობა და ნება არ მისცა საელჩოს მიახლოებოდნენ, დემოსტრანტების წარმომადგენლებს კი საელჩოს კარებები დაკეტული დახვდათ.

მანიფესტაციის მონაწილეებს დაურიგდათ პეტეიის ფურცელები, რათა მათ 15 დღის განმავლობაში გაუგზავნონ მის აღმატებულებას ბ. ჩერვონენკოს და თანაც მიაყოლონ პირადი წერილი, რომელშიც პროტესტი იქნება გამოთქმული ულჩის მიერ ამნესტი ინტერნაციონალის მიუღებლობისთვის და მოთხოვნილება ყველა რწმენის პატიმრების განთავისუფლებისათვის.

ზემოდ, სურათებზე ჩანს ქართველ მანიფესტანტების ჯგუფი, რომლის პლაკატები მოითხოვენ ყველა ქართველი პოლიტპატიმრის განთავისუფლებას და განსაკუთრებით - ვ. ფაილოძე, ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ვ. რცხილაძე და ა.ე. იმნაძესას.

ფოტო და კოორდინაციის ეთერი წ - ს

ორი პარიზული მოვლენის შესახებ

1. მოსკოვის ლიბერალური ნიღაბი

პირველ ივნისიდან ხუთ ნოემბრამდე პარიზში, პრეზიდენტ ჟორჟ პომპიდუს კულტურის სასახლეში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის გამოფენა საჯელწოდებით „პარიზი - მოსკო-



ვი 1900 - 1930.“ გამოფენაზე წარმოდგენილია ფერწერა, ქანდაკება, არქიტექტურა, გრაფიკა, ლიტერატურა, კინო და მუსიკა.

მაშინ, როცა თავისუფალი შემოქმედება სასტიკად იდევნება საბჭოებში და რეგიონალურებისა, რომლებიც პარიზშია გამოფენილი დამალულია, არამც თუ თუ რიგითი საბჭოთა მოქალაქეებისთვის, არამედ მუზეუმების მოსამსახურეებისთვისაც, გამოფენის კატალოგი ისეა შედგენილი და გამოფენაც მოწყობილი, რომ ის ქმნის შთაბეჭდილებას საბჭოთა პერიოდის ხელოვნების და ლიტერატურის თავისუფალი ჰარმონიული განვითარებისას. და ამგვარად საბჭოური ე.წ. „სოციალისტური რეალიზმი“ მიმართულების გამარჯვებას.

საბჭ. ხელისუფლების ასეთმა ცბიერებამ და სიცრუემ ააღელვა ფრანგული საზოგადოების ერთი ნაწილი. საზოგადოების ინფორმაციის მიზნით, პარიზის სორბონის უნივერსიტეტის ამფიტეატრში, ხუთ და ექვს ივნისს, ჩატარდა ბასი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფრანგებმა და ყოფილმა საბჭოთა მოქალაქეებმა. სხდომებს თავმჯდომარეობდნენ ცხოვლილი ფრანგი მოღვაწე, მწერალი დავიდ რუსე, მწერლები მანეს სპერბერი და ჟან-მარი ლმენაკ და ისტორიკოსი ემანუელ ლე რუა ლაღური. მრავალრიცხოვანმა დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოისმინა მომხსენებლები:

**იგორ გოლდენსტოკ** - ხელოვნების ისტორიკოსი, 1973 წელს გამოქვეყნებული. ცხოვრობს დიდი ბრიტანეთში და ასწავლის ოქსფორდის უნივერსიტეტში. **ანატოლ კოპ** - არქიტექტორი, პირე ემანუელ - ფრანგი პოეტი-აკადემიკოსი, ალენ ბეზანსონი პოლიტიკურ მეცნიერების პროფესორი, საბჭოთა კავშირის სპეციალისტი, ჟურნალისტი, ეფემ ეტიენ - რუსული ენის პროფესორი პარიზის უნივერსიტეტში, გამოქვეყნებული საბჭოებიდან 1974 წელში, **ანდრე სინაიავსკი** - მწერალი, პროფ. პროფესორი პარიზის უნივერსიტეტში, გადმოსახლებული 1975 წ. გი სკაპეტა - მწერალი, პროფ. რეიმისის უნივერსიტეტში, ფრანსუა შამპარნო - პედაგოგი, მიშელ ელერ - პროფ. პარიზის უნივერსიტეტის, 1969 წლიდან ცხოვრობს საფრანგეთში, **ალექსანდრ სმოლარ** - პოლონელი ეკონომისტი, გადმოსახლებული საფრანგეთში, **მარკე ულტერ** - პედაგოგი, **ლენიად პლოურ** - უკრაინელი მათემატიკოსი, გადმოსახლებული საფრანგეთში, **და ნატალია გორბალივა** - პოეტი, კრებულ „კონტინენტის“ რედაქტორი, 1976 წელს გადმოსახლებული საბჭ. კავშირიდან.

გამოსულ მომხსენებლების ნათქვამებიდან მოკლედ შეიძლება დავასკვნათ, რომ: დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, ლენინიდან მოყოლებული ბრენენამდე, მკაცრად იდევნებოდა და იდევნება ყოველგვარი თავისუფალი აზრის და შემოქმედების გამოვლინება საბჭ. კავშირში. ხელისუფლება სისტემატიურად ანადგურებდა ხელოვნების, ლიტერატურის და ფილოსოფიის დამოუკიდებელ მიმდინარეებებს და ცეცხლით და მახვილით გააბატონა ე.წ. „სოციალისტური რეალიზმი“, რომელიც სინამდვილეში სხვა არა არის რა, თუ არა ოქტომბრის რევოლუციის და საბჭოთა რეჟიმის ხობა-დიდება.

პარიზში მოწყობილი გამოფენა და მისი კატალოგი სამარცხვინო გაყალბებაა საბჭოთა სინამდვილის. პარიზში გამოფენილი შედეგები(შავალი, კადინსკი, მალევიჩი, ზუტინი, არშიპენკო, დელონე, ზადკინი და სხვა) დამალულია საბჭოთა მოქალაქეებისათვის და თვით მუზეუმების მოსამსახურეებისათვისაც კი, რაც შეეხება ავტორებს, ისინი ემიგრაციაში იწყობებიან ან ხმა ჩაუწყვიტეს, დანარჩენი კი ძალით აზიარეს „სოციალისტურ რეალიზმს.“ თავისუფალი შემოქმედების დევნა იქ ღღესაც ძველებურად გრძობდა. არაკლასიკური ხელოვნების ნიმუშების გამოფენა დღესაც სასტიკადაა აკრძალული. პარიზის გამოფენის კატალოგი კი ისეა შედგენილი, რომ საბჭოთა სინამდვილის უცოდინარ ფრანგ დამთვარიელებელს ეგონება, რომ თითქოს ხელისუფლების ჩაურევლად, სრულ თავისუფლების პირობებში ჩატარებულყოფის შეჯიბრება ლიტერატურის და ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის და საბოლოოდ გაბატონებული მდგომარეობა მოეპოვებოს სოციალისტური რეალიზმის სკოლას, რადგანაც ის ყველაზე უკედ ეხმაურება საბჭოთა ადამიანის გემოვნებასა და მიზანსწრაფებს. ფრანგმა მომხსენებლებმა განსაკუთრებით დაგმეს საფრანგეთის ხელისუფლების პასიურობა საერთოდ გამოფენის დარგში, კატალოგის ფრანგულ ტექსტში ცენზურის ნება მისცეს საბჭოთა წარმომადგენლებს და ამრიგად თანამზრახველი გახდნენ საბჭოთა უტიფარი სიცრუის სიმართლედ გასაღების საკეში.





2. ვალენტინ მოროზის პრეს - კონფერენცია

ამ დღებში ვალენტინ მოროზი იმყოფება პარიზში. 21 ივნისს მან გააკეთა პრეს-კონფერენცია. მე შეგხვდები მას, გადავეცი ქართული ეროვნული ემიგრაციის სალამი და ხანგრძლივად ვესალუბრე. მისი საჯარო განცხადების დელაზარე შემდეგია:

- ატომური ომის შანტაჟით საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს დასავლეთის დემოკრატიულ მთავრობებიდან მიიღოს ახალ-ახალი დათმობები. როგორც მადა ჭამაში მოდის, ისე ყოველი დათმობა იწვევს შემდეგ ახალ მოთხოვნებს. დასავლეთმა უნდა მონახოს ახალი ჩერჩილი და არა ჩემბერლენი ,
- ოთხმოციანი წლები მღელვარე და საინტერესო იქნება ყველა დიქტატორულ ქვეყნებისთვის, რადგანაც ისინი დინამიტებზე ღვანან. საბჭოთა კავშირშიც შინაური არეულობის დრო ღვება და ჩვენც მზად უნდა ვიყოთ სასურველი მიმართულება მივცეთ მას. ჩვენ გვაქვს გამოცდილება მღელვარე პირობებში ცხოვრების, რაც დასავლეთს აკლია.
- ერი, რომელსაც ჯერ დამოუკიდებლობა არ მიუღია, ხმას მისცემს უფრო შეიარაღებას ვიდრე განაირაღებას.
- ჩვენი კრედი აგებულია ჩვენს მორალურ ღირებულებებზე და ჩვენს ღრმა დამოკიდებულებაზე ეროვნულ მემკვიდრეობასთან. ჩვენი მოვალეობა ავაშენოთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი და უკეთესი მომავალი.
- ჩვენი კრედოს პირველი ფრაზაა: „ შენ მოიპოვებ დამოუკიდებლობას და სუვერენობას შენი ქვეყნისას ან შენ მოკვდები მისთვის ბრძოლაში.“
- დასავლეთმა არ უნდა დაუშვას რუსეთის იმპერიის არსებობა, მან უნდა მოითხოვოს მისი დემოკრატიული გარდაქმნა. ბრეჟნევის შემდეგ რუსეთი კიდევ უფრო შოვინისტური გახდება და კიდევ ურო დიდი საფრთხე დასავლეთისთვის. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, ჩვენ უნდა ავაფთხოთ რუსეთის იმპერია. მე არ მოვიტხოვებ ბომბების დაშენას მოსკოვზე, მაგრამ მე ვგონია, რომ დასავლეთი უნდა მოემზადოს ამ იმპერიის აღსასრულისთვის. იმპერიის მარტო არსებობაც კი ვნებს მსოფლიოს წონასწორობის ნებას.
- აფრიკის დეკოლონიზაცია დასრულდა, დღეს ეროვნული განთავისუფლების ნამდვილი მოძრაობები საბჭოებში არსებობენ. დღეს იქ შეიძლება ინახოს ათეული ქვეყანა, დიდი და პატარა, რომლებიც მოუთმენლად ელიან თავიანთ დამოუკიდებლობას.
- საქორა დასავლეთმა შეუტოოს და არა მუდმივ თავდაცვაში იყოს. გამარჯვების ფსიქოლოგია მოითხოვს შეტევით სტრატეგიას და არა თავდაცვისას.

გ. მოროზი დაბადებულია 1936 წელს ჩრდილო-დასავლეთ უკრაინაში, გლეხის ოჯახში. დაამთავრა ლვოვის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და შემდეგ ინსტიტუტში ასწავლდა. ყავს ცოლი და ერთი შვილი. 1965 წელში ის პირველად დააპატიმრეს უკრაინული „სამიზდატის“ გავრცელების გამო, რომელშიც დამბოლი იყო უკრაინის გარუსება და იყო მოთხოვნა უკრაინას მიეცოდა უფლება თავისი ეროვნული კულტურის თავისუფლად განვითარების. განთავისუფლებული 1969 წელში, ის ისევ დააპატიმრეს 1970-ში. ამ ჯერად მას მიესაჯა 14 წლის პატიმრობა. ვლადიმირის ციხეში, გ. მოროზმა განიცადა აუწყრელი ფიზიკური და მორალური წამება. მას ათავსებდნენ ხან გიყების საყანში, ხანაც სულ მარტოს. არაადამიანური მოპყრობის გამო, მან შიმშილით გაფიცვა გამოაცხადა 145 დღის განმავლობაში. საერთაშორისო საზოგადოების პროტესტების შემდეგ გ. მოროზი გადაიყვანეს საკონცერტაციო ბანაკში, ხოლო 27 აპრილს 1979 წელს ის, ა. გინზბურგი, ე. კუზნეცოვი, მ. დიმშიცი და გ. ვინსი გაცვილ იქნენ ორ საბჭოთა ჯაშუშში ამერიკის შ.შ-თან. გ. მოროზი დანიშნულია პარტიის უნივერსიტეტში უკრაინული ცივილიზაციის პროფესორად.

*Djodadze's Library* ზეინაბ ზურაბიშვილი

ქართული ხელოვნების წარმატება ქენევაში და პარიზში

1. ქართული ოქრომქედლობის გამოფენა ქენევაში

17 მაისიდან 17 ივლისამდე ქ. ქენევის ხელოვნების და ისტორიის მუზეუმში მიმდინარე-





ობს ქართული ხელოვნების იშვიათი განძეულობის გამოფენა, რაც დამთავალი ინტერესს იწვევს. გამოფენაზე წარმოდგელი ინტერესს იწვევს. გამოფენაზე წარმოდგელი 73 ძეგლი, რომლებიც თარგმნილია ინგლისური ენიდან მეთორამეტე საუკუნემდე და ისინი მოწმობენ იმ დროს ქართული ოქრომკვლელობისა და მინანქრის ხელოვნების მაღალ დონეს.

დამთავარიელებები განსაკუთრებით დიდხანს ჩერდებიან და დიდი ინტერესით ათვალიერებენ მედალიონს, რომელიც ოქროს, ვერცხლის და მინანქრის ძეგლებიან გულზე სატარებელ ჯვარს წარმოადგენს. ის მორთულია იშვიათი სილამაზის ლაღის, საფირონის, მარგალიტის, ამბასის და ფირუზის ქვებით და მეთორმეტე საუკუნის ნახელავია. არანაკლები მოწონებით სარგებლობენ შეათე საუკუნის ოქროს ფილა, ტიხროვანი მინანქრის პანალია და თითქმის ყველა გამოფენილი განძი.

ვენევის საზოგადოება კარგად იცნობს საქართველოს ისტორიას და წარსულ კულტურას, მაგრამ ეს გამოფენა კიდევ უფრო ხელს შეუწყობს მათში საქართველოსადმი ინტერესს და სიმპატიას.

აღსანიშნავია: ეს პირველი შემთხვევაა, რაც მოსკოვი ნებას რთავს ამ განძეულობის საზღვარგარეთ გამოტანას.

### ლონგ - ტიბოს პარიზის საერთაშორისო კონკურსი

15-დან 23 ივნისამდე, პარიზში ჩატარდა ახალგაზრდა პიანისტების და ვიოლონისტების საერთაშორისო კონკურსი, რომელიც ატარებს ორი ფრანგი ვირტუოზის - პიანისტი მარგორიტ ლონ(1874 - 1966) და ვიოლონისტი ჟაკ ტიბო (1880 - 1953) - სახელს და მისი მიზანია გამოავლინოს და სახელი გაუთქვას სიჭიქრ ფრანგ და უცხოელ მუსიკოსებს.

წელსაც ორი ქართველი ქალიშვილი ვახდა კონკურსის ფინალისტი. მართლაც, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ამ კონკურსებში საქართველო უკვე ითვლის ოთხ ლაურეატს: 1961 წელში პიანინოში მარინა მდივანი, ვილინოში კი ლიანა ისაკაძე 1965-ში, ნანა იაშვილი 1967-ში და რუსულად გვასალა 1973-ში.

ჟაკ ტიბოს კონკურსში წარმოდგენილი იყო ათი ახალგაზრდა ვიოლონისტი, ექვს სხვადასხვა ქვეყნიდან. პირველი პრემია არავის ერგო, მეორე პრემია კი მიეკუთვნა სერგეი შტაღლერს. ქართველ ქეთევან ტუშმალიშვილს წილად ხვდა მეოთხე პრემია დებუსის სონატის და პროკოფიევის კონცერტის შესრულებისათვის.

რაც შეეხება მარგორიტ ლონის კონკურსს, იქ ადგილი ჰქონდა უფრო მაკარ შეჯიბრებას, ვინაიდან 77 კანდიდატიდან მხოლოდ შვიდი გავიდა ფინალში და მათ შორის 23 წლის ქართველი პიანისტი თბილისის კონსერვატორიის მეხუთე კურსის სტუდენტი. მისი შესანიშნავი შესრულება შოპენის მეორე სონატისა, რომელშიც პიანისტმა გამოამყვანა შესანიშნავი სინატიფე, გრძნობიერება და არტისტობა, იმდენ იძლეოდა უკეთესი ადგილისას, მაგრამ უფორმ სხვაგვარად განსაჯა და პირველი პრემია მიეკუთვნა ფრანგ ფრედერიკ აგესის, ხოლო ნინა ქათამაძეს კი მეოთხე პრემია. მეოთხე პრემია დასაწუნი არ არის ასეთი მაღალი კლასის საერთაშორისო კონკურსში.

მივესალმებით რა ორ გამარჯვებულ ქართველ ახალგაზრდა არტისტს, ვისურვებთ, რომ მათ ამხანაგებს თბილისის კონსერვატორიიდან, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მომავალი წლების კონკურსებში, კიდევ უკედ გამოიჩინონ თავი და მათ ჩვენი სიმშობლო.

პასკალ შენგელია

პარიზი, მაისი 1979 წ.

ღია წერილი „თავისუფალ ტრიბუნის“ პასუხის მგებელს, ბ-ნ გ. წერეთელს.

თავისუფალ ტრიბუნის №24-ში, გაცეცანი თქვენ წერილს „გლადიმირ უვანიას დახვრეტის წლის თავზე“; გაოცებული დავრჩი რომ თქვენ ვსურთ მოაჩვენოთ მკითხველს და შექმნათ შთაბეჭდილება რომ გარდა წერილში დასახელებული პირებისა, საზოგადოება იზიარებდა თქვენს ინიციატივას; სინამდვილეში კი, დიდი უმრავლესობა ჩვენი საზოგადოებისა, უადგილოდ, უდროოდ სთვლდა ამ პანაშვიდის გადახდას, არა იმისთვის რომ მას სხვაზე ნაკ-



ლებ არ ენანებოდა ქართველი კაცის სისხლის დანთხვევა, არამედ მას მიაჩნდა მიზანშეწონილია, განცალკევებულად მისი სხონის აღდგენა მით უმეტეს, რომ მეორე დღეს თებერვალს, დანიშნული იყო, სამკვლევარო ტრადიციული პანაშვიდი, დაღუპულ მამულიშვილთა სხონების სადიდებლად.

ქართულ საზოგადოებას, როგორც აქ, ისე ჩვენ სამშობლოში, არ სურს გახდეს მონაწილე ტერორისტული აქტების, რადგანაც ეს სრულიად არ გამომდინარეობს ჩვენი პატარა ქვეყნის ვითარებისა და ინტერესებისაგან.

თქვენ მიერ ასეთი ცალმხრივი საკითხის გაშუქება, თიშავს და არღვევს ჩვენ სულიერ ერთობას და ენება მოაქვს მთელ ქართულ საქმიანობის რომელსაც ჩვენ ყველას გესურს რომ ვემსახუროთ.

დასასრულს მინდა მოგავიწყობო, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგამდის, უბრალო ეთიკა მოითხოვდა რომ შევითხებოდით საზოგადოების მიერ არჩეულ სათვითკმომის თავმჯდომარეს.

ქართული საღამით ვიქტორ ხომერიკი

### ჩემი განმარტება ამ წერილზე

ბ. ვ. ხომერიკის ეს წერილი პასუხია ჩემი წერილისა „ვლ. ყვანიას დახვერტის წლისთავი“ იმ ჩემ წერილზე ბ. ხომერიკის პასუხი სასურველი და საჭირო იყო და „თ.ტ.“ საამოვნებოთ დაუთმობდა მას ადგილს, მაგრამ ეს წერილი მას თავდაპირველად ჩვენთვის უნდა გამოგზავნა, თუ ჩვენ მის დაბეჭდვაზე უარს ვეტყვოდით, მაშინ მისი საქმე იყო, შეეძლო სადაც უნდოდა იქ გამოეჭეკებინა. ის კი ასე არ მოიქცა, მე დასაბეჭდად ეს წერილი გამოგზავნა მას შემდეგ, როცა ის უკვე გამოქვეყნებული იყო „ჩვენ დროში“. ეთიკის ელემენტარულ წესს არღვევს არა მარტო ბ. ხომერიკი, არამედ „ჩვენი დროში“-ს რედაქციაც. ის არამც თუ ჩვენზე ადრე აქვეყნებს, არამედ არავითარ საკუთარ განმარტებასაც არ აკეთებს და მით თანამოზიარე ხდება წერილში გატარებული აზრების.

იმ ჩემს წერილში ნათქვამია: ბ-მა ვ. ხომერიკმა საჭიროდ არ ჩათვალა მგალობელთა გუნდში მონაწილეობის მიღება თქვა. ამას ისიც არ უარყოფს. მაშასადამე, ჩემს მიერ ბ. ვ. ხომერიკის ცილისწამებას ადგილი არ ჰქონებია. პირიქით, ქართული საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, მე მოვერიდე ჩვენი სათვითკმომის თავმჯდომარის განწყობილების და მოქმედების სრულ მხილებას და მისი სახელი მხოლოდ მგალობელთა ჯგუფის დაფუძნებში. ამ ღია წერილით მას თვით გამოაქვს სააშკაროდ მისი აზრები, მე მას ამას არ ვუწუნებ, სასტიკი მოწინააღმდეგე ვარ ფარული ინტრიგანული მოქმედებების, მომხრე ვარ საზოგადო საქმიანობის საჯაროობისა, რადგანაც მწამს, რომ ის ხელს უწყობს საერთო საქმის უკიდურეს და წარმოებას.

წინააღმდეგ ბ. ხომერიკის „გაოცებისა“, იმ ჩემ წერილში არავითარი ცდა არ არის ყალბი შთაბეჭდილების შექმნის. მე, რა თქმა უნდა, ყველა დამსწრის და არ დამსწრის სახელები არ შემეძლო ჩამომეწერა, არც საჭიროება მოითხოვდა, და მოვიხსენიე მხოლოდ მათი არ დასწრება, რომლებიც ჩვეულებრივ გალობენ და იმ მნიშვნელოვან შემთხვევაში განზრახ თუ დაუდევრობით თვინათ მოვალეობას არ ასრულებდნენ. (აქვე მინდა ვისარგებლო და აღენიშნო, რომ ბ. ნ. მამულაშვილის დაუსწრებლობა გამოწვეული ყოფილა საპატიო მიზეზით, რაც ჩვენ მაშინ არ ვიცოდით. საჭიროა ისიც ითქვას, რომ ნ. მამულაშვილის უანგარო და სასარგებლო მოღვაწეობა პარიზის ქართულ ეკლესიაში დიდად საქები და მამულიშვილურია.)

ბ. ვ. ხომერიკი ამტკიცებს ვ. ყვანიას პანაშვილის გადახდას გარდა წამომწყებებისა(წ. ყურუშაძე, ნ. ქავთარაძე, თ. ზურაბიშვილი, გ. წერეთელი) არავინ თვლიდა საჭიროდ, „დიდი უმრავლესობა ჩვენი საზოგადოებისა უადგილოდ, უღროდ სთვლიდა ამ პანაშვილის გადახდასო“ როდის მოახდინა ბ. ხომერიკმა საზოგადოების გამოკითხვა? რას უშვება ის იმ საზოგადოებას, რომელიც მობრძანდა და მონაწილეობა მიიღო ქართული ენის დაცვისთვის დახვერტილ მამულიშვილის პანაშვილში?(მათ შორის იყო გამგებობის სამი წევრი, ერთი მძიმე ავადმყოფი საავადმყოფოში იწვია.) მეტყველად, ვის არგია ან ვის ახარებს ის ამბავი, რომ ვ. ყვანიას პანაშვილს პარიზის ქართულ ეკლესიაში უადგილოდ თვლიდა? ამ კითხვაზე ორი პასუხი არ შეიძლება არსებობდეს – მხოლოდ და მხოლოდ საქ. საოკუპაციო





ხელისუფლებას, კრემლის ბატონებს. ვ. ხომერიკი არ შეიძლება შეგნებულად აკეთებდეს და აქაც რჩება ერთადერთი ახსნა: მას აკლია პოლიტიკური აღზრდა და მკერეტელობა. პოლიტიკური გონიერებაც, რადგანაც ვისაც ეს გააჩნია, ჩემი შეგნებით, ის ვ. ჟვანიას სახელს სადავოდ არ გახდის, როგორც აგვისტოს აჯანყების მსხვერპლთ ვერ ვუსაყვედურებთ, რომ მათ აჯანყების სახიფათო გზას მიმართეს, ისე ვ. ჟვანიას ვერ ვუსაყვედურებთ, რომ მან ბომბების აფეთქების სახიფათო გზას მიმართა. ვეთაყვანებოთა, როგორც პირველების, ისე მეორის სახელებს, ჩვენ რიდი მოვეუწოდებთ ქართველობას აჯანყდნენ ან ტერორს მიმართონ. თუმცა რა შედარებაა, აჯანყება გაცილებით, შეუდარებლად უფრო სახიფათოა, ვიდრე ინდივიდუალური თავგანწირვა. მიუხედავად ამისა არცერთ თროვნულ პარტიას, არცერთ პასუხისმგებელ ქართველს 1924 წ. აგვისტოს აჯანყება არ დაუგმია.

ბოლოს, ერთობა უნდა არსებობდეს საქმის კეთებაში და არა უმოქმედობაში. ემიგრაციაში დღეს ბევრია, რომლებიც ფიქრობენ, რომ ემიგრაციამ არაფერი არც უნდა თქვას და მიუთმეტეს არც არაფერი ვაკეთოს ისეთი, რაც საბჭოთა ხელისუფალთ გაარისხებთ. ემიგრაციაში არიან ისეთი, პოლიტიკოსებიც, რომლებიც ქადაგობენ და საქმიანობენ, რათა ეროვნული ემიგრაცია ვადააქციონ სამშობლოს მოწყვეტილ უდიდო საზოგადოებად. ცდილობენ, რომ მან კულტურული კავშირები და კეთილ-მეგობრული განწყობილება დაამყაროს საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლებთან. ასეთ „პოლიტიკოსებთან“ ჩემი „სულეიერი ერთობა“ შეუძლებელი და მიუღებელია. ის ვინც სიტყვიერად და საქმიანად შეუერთებულა სამშობლოს მპყრობელების, მათ არც წარსულში დაკლებია და არც მომავალში დააკლდებათ ჩემი სულეირი ერთობა, ერთგულება, თანაგრძნობა და თანადგომა.

#### გ. წერეთელი

მინაწერი. მართლწერაში ბ. ვ. ხომერიკს არ გამოვეცი დები, მაგრამ მის წერილში ორი ადგილის გასწორება საჭიროდ მიმჩნია: 1. კეთილად სახსენებ ჟვანიას ერქვა ვლადიმერი და არა „ვლადიმირ“. 2. „თავისუფლების ტრიბუნა“ და არა „თავისუფალი ტრიბუნა.“ ეს მეორე შეცდომა ხევესაც მოსდით, ამიტომ ხაზს ვუსვამ მას. გ.წ.

#### ჩვენ და ისრაელი

გასულ წელში არსებობის 30 წლისთავი იზივია ისრაელის სახელმწიფომ. რა დიდი და ძნელი გზა აქვს მას გავლილი ამ ცოტა ხნის განმავლობაში!

ნაბუქოდონოსორის დროიდან წინაპრების მიერ მიტოვებულ მიწა-წყალზე, ერთმა მუქა ებრაელობამ საფუძველი ჩაუყარა და ააგო ერთდამთავრდნოს უძველესი და უახლესი ისრაელი ერის სახელმწიფო. მარად მოხეტიალე ებრაელმა გაიჩინა სამშობლო. მან ვაჟდლო და გამარჯვებული გამოვიდა ას მლიონზე მეტი არაბობის კოალიციის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის მღვრელ ომიებიდან.

თეთრ მსოფლიო ებრაელობის დისკოლოგიაშიც მოხდა დიდი და მნიშვნელოვანი გარდატეხა. უსამშობლო ებრაელების ყველაზე აქტიური ნაწილი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, შტერი იყო ეროვნული სახელმწიფოებრივობის და აქტიურად იბრძოდა კაცობრიობის გათქვეფის სასარგებლოდ. ამით უნდა აიხსნას მათი „ფასინაცია“ რუსული საბჭოთა რევებით, რომელიც თავის ხსნას და არსებობას დიდათ უნდა უმადლოდეს მათ. დღიდან ისრაელის სახელმწიფოს დაარსებისა, საბჭოების დამცველი მსოფლიო ებრაელობა გადაიქცა მის ერთ მთავარ მოწინააღმდეგედ.

ამ წმინდა პოლიტიკურ მოსაზრებებს აძლიერებს გულიდან მომავალი გრძნობები: ექვსი წელიწადია რაც ისრაელისკენ დიძრენ ჩვენი მკვიდრი ებრაელები, რომლებიც ამჟამად 40-45 ათას სულს შეადგენენ ისრაელში. ისინი საქართველოს საუკეთესო წარმომადგენლები არიან პალესტინის წმინდა მიწაზე. ამიტომ, როცა ეს ქვეყანა ნელნელა მშვიდობას აღწევს ეგვიპტესთან, ჩვენ ვფიქრობთ ნაადრევი არ არის წარამტება მიეულოთ მას მშვიდობის საბოლოოდ დამყარების საქმეში.

ბენ გურიონთან ერთად, რომელიც ისრაელის პატრიარქის სახელით სიცოცხლეშივე შევიდა ისრაელის სახელმწიფოს ისტორიაში, გოლდა მერი იყო ამ გამარჯვე-



ბების ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი. ეს სუსტი სქესის წარმომადგენელი, მაგრამ მტკიცე ნებისყოფის პიროვნება წლების განმავლობაში, როგორც პრემიერ მინისტრის პოსტზე, ისე პოლიტიკური თანამდებობა ისრაელში ხელმძღვანელობდა მისი ხალხის უთანასწორო შერეკვების. მისი გარდაცვალების თანავე, მისმა მათაყვანებელმა და ჩვენმა კარგმა თანამშრომელმა, როზა აბნერაშვილმა გადმოვიგზავნა გოლა მერისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელსაც ქვემოთ სიამოვნებით ვაქვეყნებთ.

თ.ტ.

ს ა მ ა რ ა დ ის ო

(გოლა მერის ხსოვნას)

საქმემან შენმან გამოგაჩინოს!  
ფერენ ზეციდან ღმერთის ზარები,  
თუ ასორს აივო ძეგლი მარადი,  
დატოვო კვალი შეუდარები.

გამოგაჩინა საქმემან შენმან,  
ღღავე გრძნეული ერის ტანჯულის,  
ზეცად ატყორცნა შენი სახელი,  
მოგვინა უცხო ნათლისეული.

და აისვეტა ზეცის თაღამდე  
სახება შენი საკაცობრიო,  
ხელქმნილმა მადლმან სულგრძელობისამ  
ძეგლი დაგიღდა სამარადისო.

ეს შენი ძეგლი სახელმწიფოა,  
ბიზანყოფილთა თვითმეფეების,  
ნაოცნებარი მუჭეაბუჯ ჰერცლის,  
შვიდათწლეულის ნაქადაგები.

შენი მადლია ეს საოცრება,  
ღებორავ ახალ ისრაელისა,  
შენი ღვაწლით და ბრძნული გენით  
მისი მკვდრეთით კვლავ აღვლენისა.

შენ მიუძღოდი ხალხს ექვს ათწლეულს  
ძნელბედით გზებზე ქალი პატარა.  
მიმშეთა ხელით, და ცით ღვთის ნებით,  
უღაბნო წალკოტს რომ დაადარა.

მაგრამ ჯერ კიდევ წინ გელო დიდი  
მიზანი, რა ხნის ნაოცნებარი:  
რომ მოსწრებოდი ქვეყნად მშვიდობას,  
გეხილა მისი ნათლის ლამპარი.

არ გეთმოზოდა მიტომ სიცოცხლე,  
როს აცხადებდი გულით მართალი:  
„მოვესწრებიო, მჯერა, მშვიდობას,  
თუმცა სიბერეს მწამებს ანვარი.“

ეს იყო მხოლოდ სულ ერთი წლის წინ...  
გაღღავე ყინული საუკუნებრი,  
ფეხი აიღვა მშვიდობის ნაგვა  
და მოჭპრის სიოც ზღვით მონაბერი.

ყოველ ცისმარეს მოაქვს ამბავი  
ხან საიმედო, ხან ნაღვლიანი.  
იცი, მშვიდობას საკაცობრიოს  
გზა აქვს სავალი ძნელ-ეკლიანი.

თუმც მისი ნავი ბოპოქარ ზღვაში  
მიანც მიაპობს ტალღებს ვით ქარი,  
მიზანსწრაფულად ელტვის იმ ნაპირს,  
რომ ჰქვია მშვიდი ნავთსაყუდარი!

როზა აბნერაშვილი  
ბათ იამი  
10.12.1978.

შ ა გ ა ლ ის ა ლ ქ ი მ ი ა

გასული წლის დეკემბრის დამლევს ჩვენთან, ისრაელში, ტელევიზიით ნაჩვენები იყო მარკ შაგალის შემოქმედება ფრანგულ ენაზე, ებრაული წარწერებით. შაგალი ხომ ცნობილი ებრაელი მხატვარია; მას ბრწყინვალედ აქვს მოხატული ქენესეთის(პარლამენტი) კედლები, ბიბლიურ მოტივებზე შექმნილი სურათებით.

გუყურებ გადაცემას, და უცებ მომესმის მშვენიერი ქართული სიმღერა „შენ ხარ ვენახი“ და თითქმის მთელი გადაცემის დროს ეს დიდებული სიმღერა უღერდა; ხოლო გადაცემის დასასრულს კი ახალი ჰანგი შემოგვაწიეს – „წინ წყარო ჩამოვიარე“, რომელსაც საუცხოოდ ასრულებს კავსადის გუნდი. გადაცემას, რომლის სათაური იყო „შაგალის ალქიმია“, მართლაც ასეთი ჯადოქრული სიმღერები შეეფერებოდა!

დავით აჯიაშვილი. კირიათ ათა. იანვარი 1979.



ქართველთა  
წიგნისწერთა  
კავშირის  
კავშირის  
კავშირის

დალადი, ტრანსლიტერაცია და მრავლობითი რიცხვი

კონსტანტინე გამსახურდია თავის „ნოველაში“ (თავ. ტრიბუნა, №14-15, გვ.26) ზოგი სიტყვის გამოსარკვევად აღარბდა თურმე ქართულ ბიბლიას რამოდენიმე ევროპულ ენაზე თარგმანს. ამით მან მომცა აზრი ეს მეთოდი ვინმარო „დალადის“ ევროპულ ენებთან შესაღებლად. წმ. მარკოზისაგან სახარების თავში ვკითხულობთ:

„ზნა მღალადებლისა უდაბნოსა შინა: გაემზადენით...“ (ვახუშტი ბატონიშვილის გამოცემის მხედრული განმეორება, 1876 წ.).

ხელოვნური სლავური ბიბლია, თავისი განსაკუთრებული ანბანით, გამოგონილი მეცხრე საუკუნეში, გახდა საფუძვლად ქრისტიანული ქადაგებისა სხვადასხვა სლავურ ტომებში; ამას აქვს თავისი ისტორია, რომელსაც აქ არ შევხვებით.

სხვა ცოცხალ ევროპულ ენაზე ბიბლია პირველად გადაითარგმნა მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოში და მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში, ვიქტორ, ქართული თარგმანისათვის წლის შემდეგ. ამ დიდი ვადის განმავლობაში, უთუოდ მოხდებოდა ცვლილება ზოგი სიტყვის გაგებაში, წინადადების დალაგებაში და კაზმულობის გემოვნებაშიც. ამიტომ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა ქართული ბიბლიის ანუ სახარების შედარება ბერძნულ, ძველ სომხურ და არამულ ტექსტებთან; ამის საშუალება „ნოველას“ ტუსალს, რასაკვირველია, არ ჰქონდა და არც მე მაქვს. ოცდაათი წლის წინად კი, როცა ვმუშაობდი რომის აღმოსავლეთის ინსტიტუტში, ამას მოვახერხებდი, თუნდაც იქაური პროფესორების შემწეობით; ზოგმა მათგანმა ქართული კითხვა იცოდა და ბიბლიურ საკითხებში ჩახედული იყო.

მაშასადამე დღეს უნდა დავკმაყოფილდე ევროპულ ენებით. მათში ინგლისური თარგმანი 1535 წლისა, ე.წ. კოვერდეის (*Myles Coverdale*) ბიბლიის ვარიანტი თითქოს კარგად უდგება ქართულს: „ღვთის ოფ ვიის ოფ ვი კრაიერ ინ დე ვილდერნის: პრეპარე...“ (*The voyce of a cryer in the wyldernes: PREPARE...* - ძველი მართლწერა დაცულია) „კრაიერ“ როგორც მღალადებელი არის ის ვინც დალადებს, „კრაის“ მესამე პირი. ზნა „რტუ კრაი“ ინგლისურში შევიდა ფრანგულიდან „კრიე“ (*crier*) და დღესაც ინგლისურში ნიშნავს არა მარტო ყვირილს და კვირის, არამედ ტირილსაც. თანავედროვე ფრანგულში ეს სიტყვა დღეს ნიშნავს: ძახილს, ყვირილს, კვირის.

გერმანულ ბიბლიაში, რომელიც ევროპაში ყველაზე ძველია, მარტინ ლუტერმა იხმარა ზნა „რუფენ“ (*rufen*), თანახმად ლათინური ტექსტისა: „გოქს კლამანტის ინ დე-ზერტო: პარატე...“ (*Vox clamantis in deserto: PARATE...*). ზნა „კლამარე“ და „რუფენ“ თუმცა „კრიეს“ არ ეწინააღმდეგება, მაინც უმთავრესად ძახილს ნიშნავს. აქიდან ისპანურ სახარებაში ნახმარია „ლამარ“, პორტუგალურში „კლამარ“ და იტალიურად „გრიდარე“ (*gridare*); უკანასკნელი იგივე ძირისაა რაც „კრიე“ და უფრო ყვირილსა ნიშნავს.

მეცხრე საუკუნის სლავურიდან ბიბლია ბოლოს და ბოლოს გადაითარგმნა და დაიბეჭდა რუსულად მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში: „ვლას ვოპიუშჩეგო ვ პუსტიინე: პრიგოტოვტე...“ (ვატიკანის გამოცემა, 1944 წ.). ზნა „ვოპიტ“ უდგება ინგლისურს „რტუ კრაი“, და ნიშნავს არა მარტო ყვირილს და კვირის, არამედ ტირილსაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენა ცოცხალი მოვლენაა, რომელიც იცვლება დროთა ვითარებაში. დღეს არსებობს ძლიერი მისწრაფება ბიბლიის გავრცელებისა და ხალხის მიერ მისი შეთვისებისათვის ნახმარი იყოს ადგილობრივად უფრო გასაგები ენა. ქართული სახარების ახალი გამოცემა 1945 წლის, აკაკი შანიძეს მიერ, ეყრდნობა ისევ ძველ ხელნაწერებს; გ. გარიტმა გამოსცა ბელგიაში 1955 წ. ქართული სახარების ნაწილი სინაის მთის ორი ხელნაწერის მიხედვით. ცხადია, სასურველი იქნებოდა ქართული სახარების დაწერა თანამედროვე ენით.

დღევანდელ ინგლისურ ენაზე სახარების გამოცემის პირველობა თითქოს ეკუთვნის ტნ. ტელიორს - 1967 წ. ამგვარადვე ენა-კლოდ მარგრეტმა 1968 წ. პარიზში გამოსცა წმ. მარკოზისაგან სახარება დღევანდელ ფრანგულ ენაზე. ნაკლებად რადიკალური იმავე წლის ოქსფორდის გამოცემა. 1970 წელს შეერთებულ შტატებში კათოლიკურმა კომიტეტმა გამოსცა ახალი თარგმანის ორი წიგნი; ერთს სათაურად აქვს „ინგლისური ბიბლია“,





მეორეს კი „ამერიკული ბიბლია“, ამით ხაზგასმულია განსხვავება, რომელიც არსებობს ბრიტანეთის და ამერიკის ინგლისურს შორის. ინგლისურ ბიბლიაში ისევ იხსენება „კრაიერ“, ამერიკულში კი ნახმარია „ჰერალდ“, თუმცა აღნიშნულ ოქსფორდის გამოცემაში ნახმარია ერთად ორივე სიტყვა.

სულ უკანასკნელად, 1979 წელს, ამერიკის ბიბლიის საზოგადოებამ, კათოლიკური ცენტრით და არქიებისკოპის დალოცვით, გამოსცა ბიბლია დღევანდელ სალაპარაკო ინგლისურზე GOOD NEWS (გუდ ნიუს), რაც გადაითარგმნება „სახარებად“ (სახარებელი ამბავი). მარკოზიდას საკითხავი იწყება: „This is the good news about Jesus Christ..“ ქართულად: დანახამი სახარებისა იესო ქრისტესი...“ როგორც ვხედავთ დღევანდელი ინგლისური უდრის დასწრით ან ამაზე ადრე ნათარგმნ ქართულს!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გიორგი ჯაყელი

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო

ღირსეული ქართველის ხსოვნისათვის

მთელ ქვეყანაზე გაბნეულ ქართველთა საფლავებს კიდევ ერთი სამარე მიემატა. 17 თებერვალს ჩიკაგოში გარდაიცვალა 84 წლის დიმიტრი გუნია.

უზარმაზარ ქალაქში თითქმის განმარტოებით მცხოვრები, ეს ჩვენი თანამემამულე, თავის კაცურ და ქართულ მოვალეობას მაინც ღირსებულად ასრულებდა. ჩიკაგოში ის დაკავშირებული იყო იქ არსებულ უკრაინულ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და აგრეთვე დაპყრობილ ერთა ორგანიზაციასთან, რომელთა შორის ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ საქმიანობაში.

დიმიტრი გუნია დაიკრძალა ჩიკაგოშივე 19 თებერვალს, წესი აუგო ჩიკაგოს უკრაინულ მართლმადიდებელ კათედრალის მოძღვარმა თევდორე ბილენსკიმ, რომელმაც განსვენებულის შესახე თქვა: „მე გაკვირვებული ვიყავი იმით თუ როგორ იღვწოდა დიმიტრი გუნია დაპყრობილ ერთა განთავისუფლების საქმისათვის. მე იგი მინახავს, ვით ერთადერთი ქართველთა წარმომადგენელი, ეთ ხელში ქართული ეროვნული დროშით და მეორეში ამერიკულით, ამაყად მავალი მრავალრიცხოვან უკრაინულ დემონსტრაციის რიგებში. მისი წრფელი და ძლიერი სურვილი იყო თავისუფლება და დამოუკიდებლობა ყველა დაჩაგრულ ერისა. დაე დაეფასოს იგი მისმა სამშობლომ და მიენიჭოს მას საუკუნო ხსენება მისი ერისაგან.“

დიმიტრი გუნია იყო შეგნებული სოც. დემოკრატის. ის აქტიურ მონაწილეობასღებულობდა დამოუკიდებელ საქართველოს აღმშენებლობაში, მის განმტკიცება-გაძლიერებაში. როცა ბოლშევიკური რუსეთის ჯაოები შემოგვესია, დ. გუნია თოფით ხელში ბოლომდე გმიურულად იცავდა სამშობლოს და ეს ბრძოლა მას დამარცხების შემდეგაც არასოდეს შეუწყვეტია, სამშობლოდან გადმობეჭვილი, ყველგან სადაც კი ის იყო აქტიურად საქმიანობდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის, ამხსენება თანამემამულეთ, მოუწოდებდა მათ ერთობისაკენ. განთავისუფლებილ სამშობლო აღც მის ობლად შთენილ საფლავს დაივიწყებს და სათადადო მადრიც თიავებს.

იონა გუნია

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას :

1978 წლის 5 ივნისს, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა იასონ შავდია. დასაფლავებულია ადგილობრივ, სოფელ სოლონკურის(ღუბის დებ. საფრანგეთი) სასაფლაოზე.

ა.წ. 23 იანვარს ქ. ბიარიცში გარდაიცვალა ქალბატონი ირენ ანდრონიკაშვილისა-ლიუბოვა და დასაფლავებულია ქ. ნიცაში, საოჯახო საკრძალავში.

ა.წ. 17 თებერვალს, 84 წლის ასაკში, ქ. ჩიკაგოში გარდაიცვალა დიმიტრი გუნია

ა.წ. 25 აპრილს მადრიდში გარდაიცვალა პრინცესა ელენე ბაგრატიონისა და დასაფლავებულია ადგილობრივ, 4 მაისს პარიზის ქართულ ეკლესიაში გადახდილი იქნა განსვენებუ-

კლავდიმირის  
ერყენული  
შეხვედრისა

ლის პანაშვიდი, რომელსაც დაესწრო მთელი ოჯახი რუსეთის დიდი მთავრის ვლადიმირის და ქართველი ბატონიშვილის ბაგრატიის მეთაურობით.

ა.წ. 29 აპრილს, არგენტინის ქ. ლა პლატაში, 79 წლის ასაკში გარდაიცვალა პოლონეთის არმიის ყოფილი ათასეულის მეთაური გიორგი(გიგა) მრულაშვილი. განსვენებული იყო დამოუკიდებელ საქართველოს იუნკერი - კოჯორის და ტაბახმელას გმირული ბრძოლების მონაწილე. გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა ბ. გიორგი ნაკაშიძემ.

ა.წ. 30 აპრილს, უეცრად, გულით, 72 წლისა გარდაიცვალა ლეო(ლულუ) გიორგის ძე კერესელიძე და დასაფლავებულია სოფელ ლევილის სასაფლაოზე.

ა.წ. 4 მაისს დასავლეთ გერმანიის ქ. ესენში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 72 წლისა გარდაიცვალა ქალბატონი კლარა ჯაშისა-ბრაიერი.

ღრმად მოხუცებული, პარიზში გარდაიცვალა მარტიანე მგელაძე და 22 მაისს დასაფლავდა ლევილის სასაფლაოზე.

ა.წ. 29 მაისს, აბონდანის მოხუცთა სახლში გარდაიცვალა ქალბატონი ეოზეფინ სკამკოჩაი-შვილისა და დასაფლავდა ლევილის სასაფლაოზე პირველ იენისს.

ა.წ. 21 იენისს, სოფელ ლევილში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 76 წლის ასაკში გარდაიცვალა ვალიკო ჰელიძე და 29 იენისს დასაფლავდა ლევილის სასაფლაოზე.

და ჩვენს ღრმად დამწუხრებულ სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნუგეშო ქირისუფალთ.

თავ. ტრიბუნის შემოწირულებები ფრ. ფრანკებში უკანასკნელიდან ამ ნომრამდე

დავით ვაშაძე - ვასო ლაბაძის ხსოვნისათვის	-----	300,00
ქალბატონ ნინო გვაზავას ხსოვნისათვის	-----	150,00
შალვა ზედგინიძე	----- 100,00	აკაკი ბარკალია ----- 200,00
თამარ პატარიძე	----- 50,00	დავით ყურულიშვილი ----- 50,00
ნამეტია ვოგუაძე	----- 100,00	ეორა ასათიანი ----- 150,00
ქეთევან ბელი	----- 30,00	ქრისტეფორე იმნაიშვილი --- 50,00
მართა სტურუა	----- 30,00	ირაკლი მენტეშაშვილი ----- 205,40
ოთხი ნიუიორკელი	----- 419,45	გივი გაბლიანი ----- 94,73
ბაბო წულუკიძე	----- 50,00	რაფიელ ჯაში ----- 200,00
ნიკოლა ანთაძე	----- 100,00	მიხეილ გაფრინდაშვილი --- 100,00
რუბენ გვეტაძე	----- 200,00	კონსტანტინე გუნია ----- 50,00
ვიტალი უგრეხელიძე	----- 18,00	ანონიმი ვფრ-დან ----- 200,00
შოთა გვასალია	----- 204,31	ჯამი ----- 3.051,89

შეცდომების გასწორება

თ.ტ-ის ამის წინა ნომერში, წერილი „კურიშკოს ძველი წითელწყაროში“ შეცდომით ატარებს ვალიკო ჩუბინიძის ხელმოწერას. მისი განცხადება „ჩვენი ღროშა“-ში სიმართლეა და ჩვენ ისღა დაგვრჩენია ბოდიში მოვიხადოთ მის წინაშე.

- იმავე ნომერში, რომის პაპი ეან-პოლ მეორე ჩვენ ვთარგმნეთ ივანე-პავლედ, უნდა იყოს იოანე-პავლე.

- თავის ადგილას გამოგვრჩა უწყება, რომ გარდაიცვალა ქალბატონი რიმა ალექსანდრეს ასული ერისთავი და დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე ა.წ. 23 აპრილს.